# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.




ხუთშაბათი, 30 აპრილი, 2009 წელი.

№ 85 (6186)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## სანამ ხელისუფლება ცემა-ტყეპას განაგრძობს, კომუნიკაციაზე ლაპარაკი ზედმეტია

2

## ვინ დასცა ასე მუხანათურად ბეჭებზე სპორტის აკადემია...



4

## მარინე ჩიტაშვილი: იმის სურვილს, რომ რომელიმე მხარემ მაქსიმალისტური ლოზუნგი დათმოს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ

3

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისგან

აკადემიამ მიმდინარე წლის 28 აპრილს, საერთო კრების სხდომაზე ფარული კენჭისყრით აირჩია აკადემიის წევრ-კორესპონდენტები შემდეგ სპეციალობებში...

9

## რას ელირება საქართველო?





## სახელმწიფო პასუხისმგებლობის გარეშე ქვეყანა ვერ შედგება

6

## ხელკეტებიდან ბირთვულ ქობინებამდე



4

## ბანკები ტუტუცისგან თავს იკავებენ, მოვალეები კი ლამის მტკვარში გადახტნენ





7

## მამუკა მაისურაძე: ბიზნესი თავხედურად წამართვეს...





8

№ 85. ხუთშაბათი, 30 აპრილი, 2009 წელი.

**ინფორმაცია**

## პატრიარქისთვის ყველას უნდა მოესმინა

**„ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ კომენტარი გააკეთა სამშაბათს სამების ტაძარში მისვლასთან დაკავშირებით.**



ამაში პრობლემა არ არსებობს. სამების ტაძარი ყველას ეკუთვნის და, რადგან პატრიარქმა მოუწოდა ოპოზიციის წარმომადგენლებს, არავითარი პრობლემა არ იყო, ოპოზიციის რომელი ლიდერი რომელ ტაძარში მივიდოდა, – აღნიშნა ალასანიამ.

მისივე თქმით, 28 აპრილი იყო დღე, როდესაც პოლიტიკური შეხედულებები გვერდზე უნდა გადაგვედო და მოგვესმინა პატრიარქისთვის.

პოლიტიკური გუშინ წესრიგი არ შეცვლილა. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება მოისმენს ოპოზიციის არგუმენტირებულ პასუხს, თუ რატომ ხედავს ოპოზიცია ვადამდელი არჩევნების აუცილებლობას, ხელისუფლება აუცილებლად მივა გარკვეულ სწორ დასკვნამდე, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

შეგახსენებთ, რომ სინანულის ლოცვას სამების ტაძარში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო. იმის ნიშნად, რომ იგი დიალოგისთვის და დაპირისპირების დასავიწყებლად მზად არის, სააკაშვილმა სურვილი გამოთქვა, ხელი ჩამოერთმია ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერისთვის, ტაძარში მყოფი ირაკლი ალასანიასთვის.

პრეზიდენტი ჩამოვიდა ამბიონიდან, სადაც პატრიარქის მიწვევით იმყოფებოდა და ირაკლი ალასანიას საჯაროდ ჩამოართვა ხელი.

## რათა პროცესები სამოქალაქო დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს

**„მომავალი საქართველოს“ ლიდერი, გიორგი ლაღიძე ხელისუფლებასა და ოპოზიციას დიალოგისაკენ მოუწოდებს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი ლაღიძემ განაცხადა, თუ მხარეებს შორის არ შედგება პოლიტიკური დიალოგი, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების რისკები გაიზრდება.**

ძრაც შეეხება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზის, მე ვიქრობ დიალოგს ალტერნატივა ნამდვილად არ აქვს და პროცესები ვითარდება იმ თვალზასრისით, რომ აუცილებლად გადაიზრდება სამოქალაქო დაპირისპირებაში და არსებული ოპოზიციური სპექტრი დაკარგავს იმ ხალხის მხარდაჭერას რაც რა რაოდენობაც თუნდაც დღეს უჭერს მხარს.აქედან გამომდინარე მოვუწოდებ ხელისუფლებას და ოპოზიციას დასხდნენ მოლაპარაკევის მაგიდასთან და ყველა საკითხი გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, – განაცხადა ლაღიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

**ფაქტი**

**დღეს საღამოს (26 აპრილი, 2009ძ ცნობილი გახდა, რომ ნაციონალისტური მემარჯვენე ბლოკის „ალიანსი თავისუფლებისთვის“ ლიდერები გია მაისაშვილი და კონსტანტინე გამსახურდია დახურულ კარს მიღმა აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებთან.**

**გ. მაისაშვილი:** „ისინი (ანუ ამერიკელი პატრონები – ს.უ.ძ არასწორ ინფორმაციას ფლობდნენ ოპოზიციის სტრატეგიის შესახებ. შეხვედრის შემდეგ შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ მათ ახლა აქვთ სრული სურათი ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. ვვარაუდობ, რომ უკვე ისახება მდგომარეობიდან გამოსავლის კონტურები, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის და ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნის გზით. არსებული რეჟიმი უნდა წავიდეს. ეს ჩვენი პოზიციაა და მასზე უარს არ ვიტყვით“.

## „ЗАГРАНИЦА НАМ ПОМОЖЕТ“ უკვე გვეხმარება!

**„კავკასიის ექსპერტების“ ექსპრეს-ინფორმაცია და კომენტარი**

ზემოთქმულს მაისაშვილმა დაუმატა, რომ „აშშ-ს საელჩოს ოფიცრებმა“ სთხოვეს მას, არ გაემჟღავნებინათ მოლაპარაკების დეტალები. მისმა კოლეგა კ. გამსახურდიამ კი განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში იგეგმება მისი ვიზიტი ვაშინგტონში (ქართული სააგენტო პრტ-ის ინფორმაციაძ.

დღესვე ე. წ. პარლამენტის თავმჯდომარემ დ. ბაქრაძემ შეხვედრა გამართა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან სასტუმრო „შერატონში“, რომლის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ოპოზიციის მოქმედებების გამო არ მიეცათ საშუალება პარლამენტის თავმჯდომარეს პარლამენტის შენობაში შეხვედროდნენ.

ეს ინფორმაციები საინტერესოა იმით, რომ:

აძ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საქართველო არასუვერენული სახელმწიფოა: როგორც მთავრობა, ისე ოპოზიცია, კერძოდ, მისი ის ნაწილიც კი, რომელიც თავის თავს წარმოდგენს მემარჯვენე ნაციონალისტებად (ე. წ. ზვიადისტებიძ, თავის ყველა ქმედებებში შებოჭილია და ნაბიჯს არ დგამს დასავლელი (კონკრეტულად – ამერიკელიძ პატრონების და მეთვალყურეების გარეშე – ამის შესახებ ცოტა ხნის წინ წერდა გ. რცხილაძე (საინტერესოა, რომ გ. მაისაშვილი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აშშ-ში, როგორც თავად აცხადებს, კონსალტინგის სფეროში...ძ.

ბძ ოპოზიციის ლიდერებს არაფრად მიაჩნიათ ქართველი ხალხის ღირსება, რომელსაც სურს უცხოური კონტროლიდან გამოსვლა და სუვერენული, თვითკმარი სახელმწიფოს შექმნა (აქ არ მოვიტანთ არგუმენტებს იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მართლაც ასეაძ. ლიდერები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ამერიკელებთან დახურულ კარს მიღმა, „სიტუაციიდან გამოსვლის გზებთან“ დაკავშირებით და ღიად აცხადებენ, რომ არაფერს იტყვიან შეხვედრის დეტალების შესახებ თავად ამერიკელების „თხოვნის“ გამო.

გძ „ა“ და „ბ“ პუნქტებში ნათქვამი სულაც არ ნიშნავს, რომ ქართული თოჯინების ამერიკელი ანიმატორები მართლაც მზად არიან ვადამდელი პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების დანიშვნაზე და „ეროვნული თანხმობის მთავრობის“ შექმნაზე, ხოლო მაისაშვილის სიტყვების უპირობოდ დაჯერება არ არის აუცილებელი... უფრო მეტიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლეთი არ არის კმაყოფილი ოპოზიციის ქმედებებით, კონკრეტულად – მისი მცდელობებით, პარალიზება გაუკეთოს თბილისს ცენტრალური ქუჩების ბლოკირებით და გამოიწვიოს პრეზიდენტის ძალისმიერი რეაქცია. ის, რომ „ზაგრანიცა“ უკმაყოფილოა, ჩანს ჯონდი ბაღათურიას სიტყვებიდანაც, რომელიც ასევე ხვდებოდა დასავლური ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებს და ამ შეხვედრების შემდეგ განაცხადა, რომ დასავლელი პარტნიორები „არასწორად იყვნენ ინფორმირებული“ ოპოზიციის გეგმების შესახებ და საჭიროა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ამ ქვეყნების საელჩოებთან.

დძ რუსეთი, როგორ ყოველთვის, თამაშგარე მდგომარეობაშია. მას საკომპენსაციოდ მიუგდეს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც განუვითარებელ ახმახს მიაჩეჩებენ ხოლმე საბავშვო სათამაშოს, რომ ამ უკანასკნელმა არ იხმაუროს და ისიც თავისთვის ზის, ატრიალებს ხელში ამ სათამაშოს და ხანდახან კმაყოფილი რაღაცას წაიბურტყუნებს.

ჯერჯერობით ესაა.

**შეხვედრა**

**რადიკალური ოპოზიციის ლიდერებმა გუშინ ქუჩიდან სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გადაინაცვლეს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმა, ექსპერტებმა დახურულ შეხვედრაზე ოპოზიციის ლიდერებს თავიანთი ხედვა გააცნეს.**

## სანამ ხელისუფლება ცემა-ტყეპას განაგრძობს, კომუნიკაციაზე ლაპარაკი ზედმეტია

ეს იყო ოპოზიციის ინიციატივა, რომ უფრო მეტი კოორდინაცია და თანამშრომლობა შედგეს პოლიტიკურ ლიდერებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, – განაცხადა შეხვედრის დაწყებამდე „ალიანსი, საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით გამყრელიძემ. ხოლო ირაკლი ალასანიას თქმით, საინტერესოა საზოგადოების აზრის მოსმენა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგთან დაკავშირებით. დიალოგი იმისთვის იქნება საინტერესო, რომ პრეზიდენტის აზრი მოვისმინოთ, როგორ უყურებს კრიზისიდან გამოსავალს, თუმცა ჩვენს არგუმენტებსაც მოისმენს, რატომაა საჭირო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, – აღნიშნა ალასანიამ.

გუბული მაღრაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ პარლამენტი არა თბილისში, არამედ ქუთაისში შეიკრიბა. მთავრობა უნდა მუშაობდეს იქ, სადაც მისი სამსახურის მუდმივი ადგილია, ხოლო ქალაქიდან გასვლები სპეციალურ ღონისძიებას უნდა მიეძღვნას. ხელისუფლების საქციელი იმას ნიშნავს, რომ ის ვერ მართავს ქვეყანას, ანუ ხალხის მიზანი მიღწეულია.

ოპოზიციის ლიდერები მიესალმნენ დავით გამყრელიძის გახმიანებულ იდეას, ოპოზიციისა და საზოგადოების წარმომადგენლების ერთობლივი 20-კაციანი საბჭოს შექმნის შესახებ. საბჭომ აქტიურად უნდა იმუშაოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და მოძებნოს კრიზისიდან გამოსვლის გზები.

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის თქმით, ახლა საზოგადოების დაყოფის დრო არ არის.

არანაკლებ საინტერესო იყო ექსპერტების ინიციატივები, რომლებიც მათ ოპოზიციის ლიდერებს მიაწოდეს.

ნიკუშა შენგელაიამ აუცილებლად მიიჩნია, რომ ამ შეხვედრას ევროკავშირის წარმომადგენლები დასწრებოდნენ, მისი აზრით, კრიზისი მაინც ვადამდელი არჩევნებით დასრულდება, მაგრამ ეჭვი გამოხატა, რომ ხელისუფლების დაბალი ნდობის მანდატის გამო, გარანტია არ არსებობს, რომ არჩევნები კვლავ არ გაყალბდება.

გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ სანამ ხელისუფლება ცემა-ტყეპას განაგრძობს, არავითარი კომუნიკაცია არ შედგება. ეს არ ქმნის გარემოს დიალოგისთვის. ვფიქრობ, უნდა დაიდოს დოკუმენტი, რომელსაც ხელისუფლება მოაწერს ხელს და შეწყვეტს ძალადობას. ამის შემდეგ შესაძლებელია დაიწყოს კომუნიკაცია, – აღნიშნა მან.

მამუკა არეშიძის განცხადებით, ოპოზიციის რესურსი არ ამოწურულა. დიალოგის ფორმა ხელისუფლებასა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, ყველაზე მისაღებია ოპოზიციასთან მოლაპარაკების საუკეთესო წინაპირობა სწორედ ესაა.

ხელისუფლებამ ოპოზიცია არაერთხელ მოატყუა, მაგრამ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ერთად თუ გაარკვევს, რამდენად წამსვლელია ხელისუფლება სხვადასხვა დათმობაზე, ეს ოპოზიციასთან დიალოგის დაწყების საბაბს და შესაძლებლობას გააჩენს.

ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკების თემაა, მაგრამ ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მოლაპარაკების თემა შეიძლება იყოს სულ სხვა. ასეთი ურთიერთობა ხვალვე შეიძლება დაიწყოს, თუმცა ამასობაში ოპოზიცია გააგრძელებს მიტინგებს, მაგრამ ის თუ დაინახავს, რომ მოლაპარაკება შედგა საზოგადოების წარმომადგენლებთან, ისიც თავისთავად ჩაერთვება ამ პროცესებში. სააკაშვილის წასვლა არ არის პანაცეა, მთავარია, შეიცვალოს სისტემა, – აღნიშნა მამუკა არეშიძემ.

ლადო პაპავას აზრით, კრიზისული ვითარებიდან გამოსავალი კონსტიტუციაშია. მე-5 მუხლში გარკვევით წერია, რომ საქართველოში ძალაუფლების წყარო ხალხია. აქვე მკაფიოდ აღნიშნულია, რომ ხალხი ძალაუფლებას გამოხატავს რეფერენდუმის გზით, და თუ პრეზიდენტს სურს შეინარჩუნოს ძალაუფლება, უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი. რეფერენდუმი სამართლიანი რომ იყოს, ამისთვის საჭიროა, საარჩევნო კომისიის შეცვლა, კოალიციური მთავრობის შექმნა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა რეფერენდუმის პროცესში.

შეხვედრიდან გამოსულმა ლიდერებმა აღნიშნეს, რომ აქციებისა და მიტინგების პარალელურად, ისინი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შეხვდებიან და მათ ინიციატივებსა და მოსაზრებებს გაიზიარებენ.

**თეა მოსია**

**ბრიფინგი**

## არასამთავრობოები „ვარდების რევოლუციას“ სამართლებრივ შეფასებას აძლევენ

**არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის განვითარებისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის სააგენტოს“ ხელმძღვანელმა კობა კაპანაძემ 2003 წლის ნოემბრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების საკითხებზე „თავისუფალი აზრის სახლში“ საგანგებო ბრიფინგი გამართა.** მისი განმარტებით, სააკაშვილის რევოლუციურმა მთავრობამ საქართველოს მოქალაქეებს დაუკარგა დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრების აღქმა, გაუჩინა ნიჰილიზმი დასავლეთისა და დასავლური ფასეულობების მიმართ:



– „ქვეყანაში ადამიანის უფლებები არ არის დაცული კანონის ძალით, თითქმის არ არსებობს სახელისუფლებო კონტროლის მიღმა დარჩენილი მედია. ქვეყნის ხელისუფლება ფორმით დასავლურია, შინაგანად მკვეთრად შუასაუკუნოებრივი – ფეოდალური“ – განაცხადა კაპანაძემ.

მისივე თქმით, დასავლეთი არ უნდა შეეგუოს ასეთი სისტემების არსებობას, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ცივილიზებული მსოფლიოს პრინციპებს. საუბრის დასასრულს კაპანაძემ ისიც აღნიშნა, რომ ხელისუფლებას არ ჰყოფნის გამბედაობა, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიშით, შეაფასოს 2003 წლის ნოემბრის მოვლენები. მან ასევე მოუწოდა საქართველოში მოქმედ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, მიიღონ აქტიური მონაწილეობა 2003 წლისა და შემდგომი მოვლენების ობიექტურ შეფასებაში.

**ჯაბა ჟვანია**

თვალსაზრისი

*ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე და პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის სავარაუდო გზებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ მარინე ჩიტაშვილს ესაუბრა.*



# მარინე ჩიტაშვილი: იმის სურვილს, რომ რომელიმე მხარემ მაქსიმალისტური ლოზუნგი დათმოს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ

**— ქალბატონო მარინე, როგორ შეაფასებთ შექმნილ ვითარებას, ოპოზიციის პერმანენტულ აქციებს, ოპოზიციის მიერ სახელმწიფო დაწესებულებების პიკეტირებასა და გაშლილ კარვებსა და საკნებს და ამ ფონზე ხელისუფლების მხრიდან პროცესების შორიდან ცქერას და დიალოგის არარსებობას?**

— ძალიან ცუდი და მძიმე სიტუაციაა. ვითარება ნელ-ნელა უახლოვდება ისეთ ზღვარს, როდესაც უკონტროლო მოქმედებები შეიძლება დაიწყოს. ტელეკომპანიების „მაესტროსა“ და „კავკასიის“ ხელმისაწვდომობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ საზოგადოება მთლიანად საქმის კურსში იყოს რაც ხდება. სამწუხაროდ, სხვა ტელეკომპანიები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ, რეალურად არ ასახავენ შექმნილ ვითარებას. პროცესში საზოგადოების თანამონაწილეობის თვალსაზრისით, კვლავ აქტუალური რჩება ტელევიზიების საქმიანობა. ის ხალხი, რომელიც აქამდე აქციებზე იყო, ამდენი მოლოდინის რეჟიმით გაღიზიანებულია, გადაღლილია არა ფიზიკურად, არამედ ემოციურად, რაც არ გამორიცხავს პროცესის უფრო რადიკალიზაციას, შეხლა-შემოხლას, ზედმეტი ეპითეტებით ერთმანეთის შემკობასა და ასე შემდეგ.

როგორც მომხმარებელს, მეიშნა, რომ საზოგადოებრივ არხზე და „რუსთავი 2“-ზე გადაიცა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ცემეს პოლიციელი, ვიღაც მოქალაქე დაშავდა. იმ პრეცედენტის ჩვენება, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები აღარ იქცევიან კანონის ფარგლებში, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მიდის ცუდი გამოსავლისაკენ, რაც გულისხმობს არეულ-დარეულობას. ხაზგასმით ვამბობ, რომ მე მხედველობაში არ მაქვს შეიარაღებული დაპირისპირება, მაგრამ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ჯოხით გამიტეხავენ თავს თუ ტყვიას მესვრიან.

აქციების განვლილი პერიოდი აშკარად აჩვენებს, რომ ხელისუფლებას დიალოგის არავითარი სურვილი არა აქვს. ხელისუფლება მის მიერ გაკეთებული განცხადებებით, ფაქტობრივად, აფიქსირებს პოზიციას, რომ მას ხალხის პროტესტი არ აინტერესებს. მე არ ვამბობ, რომ ოპოზიციის ყველა მოთხოვნა უნდა შესრულდეს, მაგრამ ელემენტარულად ის, რომ უნდა შედგეს დიალოგი, ამისათვის ხელისუფლებას არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის, რომ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის წარმომადგენელმა პიტერ სემნებიმ დაიწყო მოლაპარაკებებისათვის მომზადება და ეს მისი მცდელობა სადღაც ჰაერში დარჩა. დიალოგის არარსებობაზე პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად ხელისუფლებას ეკისრება.

**— ბევრი მიიჩნევს, რომ ის, რაც ხდება საქართველოში, სახელმწიფოებრივი აზროვნების აშკარა დეფიციტის შედეგია და ეს ეხება კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს, როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას და საზოგადოებას.**

— გააჩნია რა იგულისხმება სახელმწიფოებრივ აზროვნებაში?

**— ამ შემთხვევაში, ალბათ, პირველ რიგში პასუხისმგებლობა. იმის გააზრება, რომ შექმნილ ვითარებაში ოპტიმალური გამოსავალი უნდა ეძებოს როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ და საზოგადოებამ.**

— ძალიან ხშირად მოჰყავთ არგუმენტი, რომ რაც ხდება, ზოგადად სახელმწიფოებრივი გამოცდილებისა და აზროვნების არარსებობის ბრალია. ამგვარი ახსნა მე პასუხისმგებლობის „გარეთ გატანის“ და პასუხისმგებლობის ყველაზე ერთნაირად, ხელისუფლებაზე, ოპოზიციაზე და საზოგადოებაზე გადანაწილების მცდელობად მიმაჩნია.

ახალი ზელანდია შედარებით, დიდი ხანი არაა რაც არსებობს, მაგრამ შეიძლება გამოდგეს საუკეთესო მაგალითად იმისთვის, რომ დემოკრატიულობის თვალსაზრისით ბევრ ქვეყანას ჭკუა ასწავლოს. ახალი ზელანდია სულ რაღაც 160 წელია არსებობს, მაგრამ სოციალური კეთილდღეობით მნიშვნელოვნად დაწინაურებული ქვეყანაა. ახალი ზელანდიის დაუსახლებელ ტერიტორიაზე ძველი ევროპიდან ჩასულმა, პრინციპში მარგინალურმა ხალხმა დემოკრატიული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. ამ ხალხმა იმიტომ შეძლო სახელმწიფოს შექმნა, რომ შეთანხმდა თანაცხოვრების წესებზე. რეალურად მოქმედ კონსტიტუციაზე, თავისუფალ სასამართლოზე, მმართველობაზე, იმაზე, რომ კანონი ყველასათვის კანონია და ყველა ამ კანონების წინაშე პასუხისმგებელია და გამონაკლისი არავისთვის არ კეთდება.

როდესაც ჩვენს საზოგადოებაზე ვლაპარაკობთ, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არ მიგვიღწევია კონსენსუსისათვის ისეთ საკითხებში, როგორიცაა თანაცხოვრების პრინციპები. ვთვლი, რომ ჩვენ ამაზე შეთანხმება არ გვქონია, ანუ არ შემდგარა კონსენსუსი.

ჩემი აზრით, კრიტიკული სიტუაცია წინგადადგმული ნაბიჯია იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანები, ყოველ შემთხვევაში საზოგადოების ერთი ნაწილი სერიოზულად მსჯელობს საზოგადოებაში კონსენსუსის მისაღწევად, რის სურვილსაც ხელისუფლება არ ავლენს. საზოგადოებამ ბევრი იწვნია, როდესაც არჩევანის გაკეთებისას ყურადღება სუბიექტურ ფაქტორებზე გააკეთა. ამ გზით მოსული ხელისუფალი ხდებოდა დიდი ან პატარა დიქტატორი, ან საერთოდ უვარგისი და უმაქნისი მმართველი.

ახლა მთავარია კონსენსუსი შედგეს სისტემურ ცვლილებებზე. შეიძლება ვინმეს პარადოქსულად მოეჩვენოს, მაგრამ თუ ამ სისტემურ ცვლილებებზე შეთანხმება შედგება, ასეთ შემთხვევაში ოპოზიციისა და ხელისუფლების მხრიდან იქნება გადადგმული ნაბიჯი სახელმწიფოს შექმნისაკენ. დღესდღეობით ასეთი ნაბიჯი ხელისუფლებას ნამდვილად არა აქვს გადადგმული. ეს ეხება, როგორც ახლანდელ, ისე ყველა ხელისუფლებას, რომელიც საქართველოს 1991 წლიდან მართავდა.

**— ოპოზიცია ხელისუფლებას არაადეკვატურობაში ადანაშაულებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ოპოზიციის მხრიდან მხოლოდ ერთადერთი მოთხოვნით პოლიტიკური ბრძოლის დაწყება, ყოველ შემთხვევაში დღეის მონაცემებით, მთლად გამართლებული არ აღმოჩნდა.**

— არ მინდა ისე გამიგოს ვინმემ, რომ მე აბსოლუტურად ვიზიარებ აზრს, რომ მხოლოდ სააკაშვილის გადადგომის შესახებ უნდა იყოს საუბარი. ხელისუფლებამ ასე რომ დასვას საკითხი, სააკაშვილი არ წავა, მაგრამ წავა მაგალითად, რამდენიმე ცენტრალური პერსონა, არა ფორმალური თვალსაზრისით, რეალური ძალაუფლების დატოვების თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში ოპოზიცია არ დათანხმდება მოლაპარაკებების დაწყებას? ჩემი აზრით, უნდა დათანხმდეს, მაგრამ თუ ის არ დათანხმდება, ასეთ შემთხვევაში ის რაც ხდება, საერთოდ სისულელე გამოდის და ის ადამიანები, რომლებიც მისულები არიან ოპოზიციის აქციებზე, ისინი სახლებში ავტომატურად წავლენ.

**— ექსპერტთა ნაწილი შექმნილი ვითარების მიზეზად პოლიტიკური სისტემის დაუბალანსებლობას ასახელებს. უპრიანი ხომ არ იქნებოდა, რომ ოპოზიციას პრინციპულად სწორედ არსებული პოლიტიკური სისტემის დაბალანსების საკითხი დაეყენებინა და არა რომელიმე პერსონის გადაყენების საკითხი?**

— არა მგონია, ვინმე ფიქრობდეს, რომ პოლიტიკური სისტემის დაბალანსების საკითხის დაყენება ცუდი იქნებოდა. ეს ისაა, რისკენაც ნებისმიერი სახელმწიფო მიდის. ეს მოთხოვნა აქვს ოპოზიციასაც, მაგრამ ეს მოთხოვნა ვინმემ ხომ უნდა განახორციელოს. ამ მოთხოვნის განმახორციელებელია დღევანდელი პრეზიდენტი, შესაბამისად, მოთხოვნა, რომ პრეზიდენტი წავიდეს, ჩემთვის, ფაქტობრივად, იმას გულისხმობს, რომ უნდა წავიდეს ის ადამიანი, ვისზეც ეს ყველაფერი ჰკიდია.

რაც შეეხება პერსონალიებს, მე ამ საკითხს ხაზი გავუსვი მხოლოდ ერთი მიზეზის გამო, მაშინ როცა არ არის სისტემური ცვლილებების შესაძლებლობა, არსებულ სისტემაში კონკრეტული პერსონა წყვეტს ყველაფერს, ვინაიდან არსებული სისტემა კონკრეტულ პერსონაზეა აგებული.

იხ. 5 გვ.

განსხვავებული აზრი

***ერეკლე მეორის საზოგადოებას, სახალხო დიპლომატიის, მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საერთაშორისო ცენტრსა და საქართველო-რუსეთის მეგობრობის ცენტრს მიაჩნია, რომ საქართველოს განვითარებისათვის გარდაუვალია რუსეთთან კარგი ურთიერთობის დამყარება, ხოლო ქვეყანაში ნატოს წვრთნების ჩატარება კიდევ უფრო დაძაბავს ისედაც რთულ ვითარებას. აგვისტოს ომმა ცხადყო, რომ ნატო გარედან აკვირდებოდა მოვლენათა განვითარებას, და ასე იქნება მუდამ რუსეთთან მიმართების გამო, ხოლო საქართველო კვლავ ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდება.***

***ნატოს წვრთნების საქართველოში ჩატარების მიზანშეუწონლობის საკითხზე სასტუმრო „ბეტსში“ ზემოხსენებულმა სამმა ორგანიზაციამ პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც ჟურნალისტების გარდა ესწრებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.***

# რას ეწირება საქართველო?

პრესკონფერენცია გახსნა ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარემ **არჩილ ჭყოიძემ.** მისი თქმით, ამ წვრთნების ჯიუტად ჩატარება საქართველოში ცხადყოფს, რომ ნატოსა და რუსეთის ურთიერთობებში საქართველო განხეთქილების ვაშლია: „ამ წვრთნებს თავი აარიდეს ლატვიამ და ესტონეთმა, რომლებიც თავად არიან ნატოს წევრი ქვეყნები. მათ არ ისურვეს ზედმეტად გაეღიზიანებინათ დიდი მეზობელი. როგორც უბრალო მოქალაქეს, მაინტერესებს, რატომ იყო აუცილებელი ამ წვრთნების ჩატარება ასეთ დაძაბულ ფონზე, თუ ეს კვლავ ახალი სამხედრო დაპირისპირების პროვოცირებისთვის კეთდება? მაშინ ჩვენ წინასწარ ვართ მარცხისთვის განწირული“.

არჩილ ჭყოიძის აზრით, თეორიულადაც რომ დავუშვათ ის, რომ ნატო სამხედრო ძალით დადგება საქართველოს მხარეს, ამ დაპირისპირებაში მაინც საქართველო დამარცხდება, რადგან მისი ტერიტორიული, ადამიანური, სამხედრო თუ სხვა რესურსები მთლიანად განადგურდება: „არ მეგულება არავინ — არც ხელისუფლებაში და არც ოპოზიციის ლიდერთა შორის, რომ ეს ანბანური ჭეშმარიტება არ ესმოდეს. ხოლო თუკი ეს ესმით, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი ასეთი გამალებული სწრაფვა ნატოსკენ უანგარო საფუძველს არ ემყარება“, — დაასკვნა არჩილ ჭყოიძემ.

სახალხო დიპლომატიის, მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის წარმომადგენელმა, პოლიტოლოგმა **ჰამლეტ ჭიპაშვილმა** განაცხადა, რომ ნატოს დაწესებული პარამეტრების მიხედვით, საქართველო ვერც დღეს, ვერც ხვალ და ვერც უახლოეს მომავალში ნატოში ვერ გაწევრდება. ამის სერიოზული მიზეზი და ბარიერია: ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც არ არსებობს, დაპირისპირება მეზობლებთან, განსაკუთრებით — რუსეთთან, არარსებული სასამართლო სისტემა, ჩავარდნილი ეკონომიკა... ამ და სხვა მრავალ პარამეტრს, საქართველო ვერ დაძლევს თუნდაც მომავალი 15-20 წლის განმავლობაში, — აღნიშნა ჰამლეტ ჭიპაშვილმა. მისი თქმით, 8 აგვისტომდე ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ყოფილ წევრებს, განსაკუთრებით კი პრეზიდენტ ბუშს სურდათ ამ საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა, ანუ ნატოს დანარჩენი წევრების, უფრო მეტად კი დასავლეთის შეუკითხავად მოეხდინათ საქართველოს ნატოში გაწევრება, თუმცა ამის წინააღმდეგი იყო საფრანგეთი, გერმანია და დანარჩენი ძველი ევროპა. მაგრამ 8 აგვისტოს შემდეგ ამ სურვილსაც წერტილი დაესვა — პრობლემიანი სახელმწიფოს ნატოში მიღებას არავინ არ გარისკავს: „ნატოს არც ერთი ქვეყანა არ შეყოფს თავს იმ ყულფში, რომელსაც ჰქვია მესამე მსოფლიო ომი“, — მიაჩნია ჰამლეტ ჭიპაშვილს.




მან პრესკონფერენციაზე ყურადღება გაამახვილა რუსეთის მკაფრ რეაქციაზე ამ წვრთნების გამო: „მათი აზრი კატეგორიულია, რომ როდესაც მსგავსი ღონისძიება ტარდება აგრესიაში მონაწილე, ანუ აგრესორ ქვეყანაში, ეს არ არის მისასალმებელი მასში მონაწილე ან სავარაუდოდ მონაწილე ქვეყნებისთვისაც. იგულისხმება ის სახელმწიფოები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ წვრთნაში. მართალია ეს ღონისძიება ერთი წლის წინათ დაიგეგმა, მაშინ ვერავინ იფიქრებდა იმას, რომ საქართველო აგრესორი გახდებოდა და ცხინვალში შეიჭრებოდა, მაგრამ ეს მოხდა“.

ჰამლეტ ჭიპაშვილის აზრით, ამ შემთხვევაში რუსეთის პოზიცია არ არის მიკერძოება ან რაღაცის აჩემება. რუსეთს ეშინია, რომ ნატოს ღონისძიების ჩატარება საქართველოში ნიშნავს გარკვეულ მხარდაჭერას საქართველოს მიმართ, ეს შემდგომში გამოიწვევს მის შეიარაღებას, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## მემორანდუმი ავტომატურად გაგრძელდება

**ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ურთიერთგაგების მემორანდუმი 26 მაისს სამი თვით გაგრძელდება.**

**როგორც სადამკვირვებლო მისიიდან იტყობინებიან, მემორანდუმი ავტომატურად გაგრძელდება, რადგან არც ერთ მხარეს არ გამოუყენებია თავისი უფლება მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ. მემორანდუმი უკვე სამი თვეა, ძალაშია.**

**ურთიერთგაგების მემორანდუმი გულისხმობს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის უშუალო სიახლოვეს ქართული სამხედრო ძალების გადაადგილების გარკვეულ შეზღუდვებსა და ამ გადაადგილების შესახებ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წინასწარ ინფორმირებას.**

**— სადამკვირვებლო მისია კმაყოფილია საქართველოს ხელისუფლების ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობების შესრულებით. მისია თვალ-ყურს ადევნებდა ყველა სახის დარღვევების შესახებ ბრალდებებს, მაგრამ ვერც ერთი დამამტკიცებელი საბუთის მოპოვება ვერ შეძლო, — აღნიშნულია მისიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.**

ინტერპრესნიუსი

ღია წერილი

# ვინ დასცა ასე მუხანათურად ბეჭებზე სპორტის აკადემია...

## კანონშეუსაბამოდ გაუქმებულს აღვუდგინოთ სამართლებრივი სტატუსი



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს **დავით ბაქრაძეს**
საქართველოს პრემიერ-მინისტრს **ნიკოლოზ გილაურს**
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს **კონსტანტინე კუბლაშვილს**

ბატონებო,

წელიწადი და ათი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ზურაბ ნოღაიდელის თავმჯდომარეობით მიიღო დადგენილება სპორტის აკადემიის გაუქმების შესახებ.

წელიწადი და შვიდი თვეა ქ. თბილისის სასამართლოში ჩვენს მიერ შეტანილ სარჩელს უკვე მეოთხე მოსამართლე იხილავს და საქმე ისე მიდის, რომ ეს პროცესი ალბათ დაუსრულებლად გაგრძელდება.

ჩვენ თავიდანვე ვაცხადებდით და ახლაც კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 ივლისის №140 დადგენილება საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გაუქმების შესახებ არის უკანონო. ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველს იძლევა ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კანონები, რომლებიც დარღვეულია ყველა მიმართულებით.

არ გამოვრიცხავთ, რომ საქართველოს მთელ რიგ კანონებს და მათ შორის კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, უამრავ დადებით მუხლებთან ერთად უარყოფითი მომენტებიც ჰქონდეს, მაგრამ იგი კანონია და აქედან გამომდინარე, ყველასათვის სავალდებულო. ისიც ყველასათვის ცნობილია, რომ ყველა ქვეყანაში კანონს უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს და სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს მიერ გამოცემული ნებისმიერი სამართლებრივი აქტი კანონზე უნდა იყოს დაფუძნებული და მოდიოდეს მასთან შესაბამისობაში. ხოლო თუ იგი (კანონიძ ირღვევა, ყველა შემთხვევაში ეს უფლებამოსილების გადაჭარბებას ნიშნავს. უფლებამოსილების გადაჭარბება კი კანონით დასჯადი ქმედებაა.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 ივლისს მიღებული დადგენილება ეყრდნობა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მეორე პუნქტს, რომლის საფუძველზეც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს, სრული უფლება ჰქონდა დაეყენებინა საკითხი სპორტის აკადემიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ. მაგრამ ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ იმავე მე-13 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული პირობები იქნებოდა დარღვეული.

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მე-13 მუხლის პირველ პუნქტში შავით თეთრზე წერია, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება ამ კანონით, შესაბამისად „მეწარმეთა შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით.

შევეცდებით სათითაოდ განვიხილოთ ზემოთ მოყვანილ კანონები და დავასაბუთოთ, რომ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია მხოლოდ და მხოლოდ კანონის საფუძველზე ფუნქციონირებდა და მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია იყო კანონის უხეში დარღვევა და ცალკეული ჩინოვნიკების ახირება.

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ზედიზედ 2-ჯერ გაუვლელობა იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებისა და ადმინისტრაციული თანამდებობის პირების უფლებამოსილების შეწყვეტას და წარმოადგენს დაწესებულების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველს.

ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო საააკრედიტაციო სამსახურის დირექტორის №98 „ა“ ბრძანების (27.10.2006 წ.ძ საფუძველზე აკრედიტაცია 2012 წლამდე ჰქონდა მინიჭებული, ბუნებრივია ამ არგუმენტით აკადემიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ვერანაირად ვერ მოხდებოდა და მთავრობის დადგენილების პირველი და მეოთხე მუხლები აბსოლუტურ შეუსაბამობაში მოდის მოქმედ კანონთან.

იხ. 10 გვ.

ფიქრები ხმამაღლა

# ხელკეტებიდან ბირთვულ ქობინებამდე

**უკვე მესამე კვირაა, ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკები დაუფარავი ცინიზმით აცხადებენ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით და რაიმე სახის კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებს არ გაგზავნიან.**

ამავე დროს, სახელმწიფო ტელეარხები სისტემატურად ავრცელებენ „მომიტინგეთა უსაქციელობის დამადასტურებელ“ კრიმინალურ სიუჟეტებს – გამვლელთა ცემა, ხელჯოხების დარიგება, ღამეული კონფლიქტური სიტუაციები, მილიტარისტული განცხადებები და ა. შ. ოპოზიციის წარმომადგენლები არც მალავენ, რომ მზად არიან, თუნდაც ჯოხებით და შიშველი ხელებით დაიცვან საკუთარი სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სახელისუფლებო მაღალჩინოსანთა ხაზგასმულად მშვიდი იერის მიღმა უკიდურესი შეშფოთება და აგრესიისთვის მზადყოფნა იკითხება, ეს ქმედება ოპოზიციასთან უწყინარი ფლირტაობის მაუწყებელი სულაც არ გახლავთ.

ხელისუფლება უარს აცხადებს საკუთარი, თუნდაც, ოპოზიციური იდეების მატარებელი საზოგადოების დაცვაზე!

ეს გახლავთ ყოვლად უპრეცედენტო მოვლენა თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაში.

2003 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, „ვარდების ხელისუფლებამ“, ნებსით თუ უნებლიედ, საზოგადოებაში სამართლისა და სამართლიანობისადმი ტოტალური უნდობლობის, საყოველთაო სამართლებრივი ნიჰილიზმის დანერგვა მოახერხა. თუ ამას ჯერ „შევარდნაძის ინერციით“, მერე რეფორმებით და, ბოლოს, „ცალკეული შეცდომებით“ ხსნიდა, ახლა პირდაპირ აცხადებს, რომ ქუჩაში გამოსული ათეულობით ათასი ადამიანის დაცვას არ აპირებს.

მიჭირს თქმა, რას შეიძლება ფიქრობდეს ამგვარი გადაწყვეტილების მიმღები ადამიანი (სავარაუდოდ, ბ-ნი ვანო მერაბიშვილიძ, მაგრამ შემიძლია თითქმის ასპროცენტიანი ალბათობით ვივარაუდო, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ გადაწყვეტილებას. ორიოდ სიტყვით, ჯერ ამ გადაწყვეტილების სამართლიანობაზე მოგახსენებთ.

იხ. 7 გვ.



განსხვავებული აზრი

# რას ეწირება საქართველო?

(მესამე გვერდიდან)

პოლიტოლოგმა პრესკონფერენციაზე გაახმიანა სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის ცნობა, რომელიც იკვლევს სამხედრო საკითხებს მთელს მსოფლიოში. თურმე საქართველოს შეიარაღება „ეროვნული პროდუქტიდან გამომდინარე“, წლეულს 4,4 პროცენტით იგეგმება, შარშან ეს მაჩვენებელი 5 პროცენტი იყო. ინსტიტუტი სხვა ქვეყნებთან – ევროპის სახელმწიფოებთან



შედარებას აქვეყნებს, საერთო ჯამში, საქართველო ევროპა-აზიის კონტინენტზე პირველ ადგილზეა, ანუ საქართველო ითვლება ერთ-ერთ მოწინავე მილიტარისტულ სახელმწიფოდ, რომელსაც სურს კბილებამდე შეიარაღება. შეიარაღებული საქართველო კი რუსეთის თვალსაზრისით საშიშია მეზობლებისთვის, რაც რევანშისტულ ნაბიჯებს გამოიწვევსო. „სტოკჰოლმის დოკუმენტებში სწორედ ესაა მინიშნებული – როგორც ჩანს, საქართველოს უარი არ უთქვამს რევანშისტულ პოლიტიკაზე. აქ კომენტარი ზედმეტია“, – დაასკვნა ჰამლეტ ჭიპაშვილმა.

საქართველო – რუსეთის მეგობრობის ცენტრის წარმომადგენელმა **ვალერი კვარაცხელიამ** განაცხადა, რომ ნატოში შესვლა მხოლოდ ჩვენს სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ – მსოფლიო პოლიტიკურ ბალანსზე. ეს ჩვენი უსაფრთხოების ძიება კი არაა, არამედ უპირველეს ყოვლისა, ესაა ჩვენს მიერ და ნატოს მხრიდან რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის მცდელობა. ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრება იმ რკალის დასრულებაა, რომელშიც უნდა რუსეთი მოაქციონ.

„დგება საკითხი – რას ეწირება საქართველო? რატომ ვიკლავთ თავს იმისთვის, რომ ვიღაცის ბრმა იარაღი გავხდეთ უზარმაზარი სახელმწიფოს – რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. თუ ვიღაცა ჩვენ ამას თავზე გვახვევს, უნდა გვეყოს გონიერება, რომ ეს თავს მოხვეული როგორმე დავთმოთ და მოვძებნოთ სხვა ალტერნატიული გზა, რათა ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებაც იყოს დაცული და მომავალიც უფრო პერსპექტიული გვქონდეს“, – განაცხადა ვალერი კვარაცხელიამ.

პრესკონფერენციაზე ერეკლე მეორის საზოგადოებამ, სახალხო დიპლომატიის, მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრმა და საქართველო-რუსეთის მეგობრობის ცენტრმა მიიღეს ერთობლივი განცხადება 6 მაისს დაგეგმილ ნატოს წვრთნებთან დაკავშირებით.

**განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნატოში გაწევრება ქართველი ხალხისთვის მიზანშეუწონელია სამი გარემოების გამო: სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრობა ნიშნავს საქართველოს სუვერენიტეტის სერიოზული ნაწილის გადაცემას ალიანსისადმი, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ოცნებას პოლიტიკური და სამხედრო დამოუკიდებლობის შესახებ;**

**ნატოს წევრობა ეწინააღმდეგება საქართველოს ავტონომიური ნაწილების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის პოლიტიკურ ნებას, ამ ავტონომიების მოსახლეობის აზრის სრული უგულებელყოფა მთლიანად სპობს ამ მოსახლეობასთან პოლიტიკური მეთოდებით ურთიერთობების გადაწყვეტის შესაძლებლობებს და საქართველოს სამუდამოდ უკარგავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას.**

**სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრობა პირდაპირი გამოწვევაა მეზობელი რუსეთისა. ეს ფაქტი საფრთხეს უქმნის ამ ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას და რადიკალურად გვაპირისპირებს მასთან, რაც საერთო ჯამში, კატასტროფულ შედეგებს მოუტანს საქართველოს. ამის უტყუარი დასტურია 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენები.**

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ეს დღე გარდამტეხია, რადგან ხმამაღლა გაცხადდა ნატოს წვრთნების მიმართ პროტესტი, ჯერჯერობით საქართველოში არსებობს შიშის სინდრომი, მეხუთე კოლონის იარლიყის მიწებებისა, მაგრამ ეს ამ ორგანიზაციების ლიდერების თქმით, სინამდვილეს არ შეეფერება. საქართველოში მრავალი ორგანიზაციაა, რომელიც მათსავით ფიქრობს. ამიტომ მოუწოდებენ ნატოს წვრთნებში მონაწილე ყველა ქვეყნის ხელისუფლებას, რომ გაითვალისწინონ საქართველოს მოსახლეობის საგულისხმო ნაწილის აზრი და უარი თქვან 2009 წლის მაისში საქართველოში დაგეგმილ სამხედრო წვრთნებზე.

**ნატა ნიბლაძე.**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

ხედვა უცხოეთიდან

# ქართველი „გოდოს მოლოდინში“
## ანუ „ტრაგიკომედია ორ მოქმედებად“

საქართველო, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო დასავლეთის XX საუკუნე გამოტოვა, 1989 წლის 9 აპრილიდან 2009 წლის 9 აპრილამდე და ამ დღეებშიც ფსიქოლოგიური თეატრის სხვადასხვა დრამატურგიულ-ჟანრობრივ-რეპარტუარული სვლების მტკივნეულ სინჯებს, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, „ქასთინგს“ გადიოდა (გადისძ, მაგრამ ერთი რამ უცვლელი რჩებოდა(რჩებაძ. იგი ისევ და ისევ გოდოს ელოდებოდა (ელოდებაძ, იგი ქართველი „გოდოს მოლოდინშია“. არადა გოდო არა და არ „გვემართება“ (გურჯიევის ტერმინიძ. 2009-ის პიესის სახელი კვლავ „პოლიტიკური კაფკაა“, როცა პროტესტანტები კვლავ „ვარდების რევოლუციის გოდოს“ სიტყვას ელოდებიან და მასზე ჭიპლარით მიბმულ-დამოკიდებულნი ხდებიან და კვლავ მისით იკვებებიან. რას იტყვის იგი? გამოვა, გამოჩნდება, დაგველაპარაკება, რა წამოსცდება, „გაქაჩავს“, დაიხევს, გადადგება, გადმოდგება და ა.შ.? დუმილისთვის და გააზრებისთვის არავის სცალია... ეს გოდომ უნდა „იდუმილოს“, „იდუმალოს“, მოიაზროს, მერე კი თქვას, გააცხადოს... ტყუილად კი არაა გოდო.

საქართველო 20 წლის წინათ 9 აპრილის გამთენიისას ლოცვასა და სიკვდილის წუთების დადგომამდე გაყუჩდა, რუსთაველი დადუმდა, გაირინდა. ამბობენ ამ მდუმარებაში, ღამის რუსთაველზე ჩასაფრებული დამსჯელი რაზმები გაიტრუნნენ და გაშეშდნენო. ხმა არავის გაუღია, ხალხი მდუმარებდა და ეს საერთო უხმო სიმშვიდე ყველაზე მრავლისმეტყველი იყო, ვიდრე ის სიტყვა, რომელიც, როგორც ცნობილია, „პირველად იყო“. მდუმარება სიტყვაზე ადრე იყო. ხალხი მანამ დუმდა, სანამ ირაკლი წერეთელმა არ დასჭექა და საბრძოლო ყიჟინით გარინდულნი „არ გაალღვიძა“. მდუმარება, სიჩუმე წამის წინათ სიცოცხლის სიტყვა იყო. მერე კვლავ ჩაერთო „ბრძოლისა და სიკვდილის ისტორიული მატრიცა“. იმ ღამეს სრულწლოვანებთან ერთად ბავშვები, არასრულწლოვანი გოგონები დაიღუპნენ...

40 წლის წინათ, როცა რუსული ტანკი „პრაღის გაზაფხულს“ ახშობდა, ჩეხმა სტუდენტმა იან პალახმა პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა. ის ფერფლიანი ალაგი პრაღის ცენტრში, ვაცლავის მოედნაზე მისი გვარსახელითაა აღნიშნული. 18 წლის წინათ ქართული ერთიანობის რეფერენდუმიდან რამდენიმე თვეში ქართველმა გია აბესაძემ თავისი სხეული ცეცხლს მისცა: ალმოდებულის თავგანწირვა ოკუპანტების წინააღმდეგ კი არა, არამედ ჯერ არგაჩაღებული ძმათამკვლელი ომის შესაჩერებად. მის გვარ-სახელს ვერსად ნახავთ რუსთაველზე... სამაგიეროდ, მისი, და არა მარტო მისი, წყეული „სამოქალაქო ომის წინათგრძნობა“ ზღვრული ტრაგიზმით გამართლდა და ახლა მხოლოდ იქვე მდგომი, ერთი ყოფილი სამინისტროს შენობის კედლებს ნატყვიარს აქა-იქ თუ შეატყობთ. რუსთაველზე არაფერი მიგანიშნებთ ერისათვის სამარცხვინო ომის ნაკვალევს... თითქოს არც ყოფილა... „ასეა საჭირო და იმიტომ. აბა, სხვანაირად, როგორო“...

საქართველოში კოლონიური, მერმე ბოლშევიკურ-კომუნისტური დრამა დამოუკიდებლობის სურვილმა და „მრგვალმა მაგიდამ“ შესცვალა. შემდეგ „კანონიერი ქურდების“, მაჩო და არც ისე მაჩო ბიჭებისა და კრიმინალური „სასტავების“ დრო დადგა. ავტომატის კაკანის ქვეშ დაემხო პროქართულად განწყობილი გოდო და მოვიდა პრორუსულად განწყობილი, ამავე დროს ბეიკერთან და კოლთან მოსაუბრე, თუმცა ინგლისურ-გერმანულის არმცოდნე, თითქოს ნაფტალინიდან ამოღებული, კომუნისტ-პუტჩისტი, „გებეშნიკი“, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მაინც გოდო. სამაგიეროდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და არა „ვინცხა“ — სოფლის მეურნეობისა თუ კულტურის უწყების თავკაცი. იგი სსრკ-ის საგარეო კურსის განმსაზღვრელი იყო, შესაბამისად ავტორიტეტიანი უწყების „ნაჩალნიკს“ „სვიაზები“ ხომ ნაღდად ექნებოდა და მოლაპარაკების ხელობაშიც განსწავლული იქნებოდა (აბა, „პაეზდკებში“ ტყუილად ხომ არ გაუშვებდნენძ. წინა გოდოსთან შედარებით, „უსვიაზო“ კი არ იყო. ახალმა გოდომ აფხაზეთის ომი კი წააგო, მაგრამ მისგან არავის მოუთხოვია ალექსანდრე მაკედონელობა და არც, მით უმეტეს, გადადგომა; არავის დაუყვედრებია დაცემული სოხუმი და ჭუბერზე უპატრონოდ დაყრილი ქართველების გვამები. ის კი არა, წაგებული ომის ერთი გენერალი ახალი ოპოზიციონერ-დიპლომატთა გაერთიანების სასურველი წევრიც გახდა. მაშინ მავანმა „თეთრ გოდოს“ დაუჩოქა. არ წახვიდე, არ დაგვღუპოო... „ასეა საჭირო და იმიტომ. აბა, სხვანაირად, როგორო“...

მერე გოდო დაძველდა, ხოლო მისი თიხის ფეხები მოლპა — გაიხრწნა და დადგა ახალი გოდოს დრო. ოღონდ ახლა ინგლისურ-ფრანგულად მოლაპარაკისა და პროამერიკულ-პროდასავლურისა. რკინის ყოფილი ფარდის იქით არც ისე დიდი, მაგრამ მაინც „სვიაზებით“, ჰოდა, თბილისური ინტრეპრეტაციის „პრაღის გაზაფხული“ კვლავ შეჭრით დასრულდა, ოღონდ მნიშვნელოვანი განსხვავებით. ვარდებით, „ჰიპურად“. მადლობა ღმერთს, 2003-ის რევოლუციის მერე ნატყვიარების კვალის წაშლა საჭირო აღარ გახდა. პენსიონერი გოდო კი თავის ჩვეულ ამპლუაშია — ძველი გვარდიის უკანასკნელი მოჰიკან-გოდო -ბრძენის გუნება-განწყობილებაზე. „ასეა საჭირო და იმიტომ. აბა, სხვანაირად, როგორო“...

მერე სულ ცინცხალ გოდოსთან ერთად პარლამენტში მოვიდნენ ისინი, ვინაც „ნაცმოძრაობის“ სია თავის საპარლამენტო თვითგამოხატვისთვის — ოპოზიციონერ-ფრაქციისტობისთვის — გამოიყენა, მაგრამ ახალ გოდოს აყვედრიდნენ, ძველი გოდოს ბანაკში რატომ იყავიო. ყველას ჰქონდა უტყუარი არგუმენტი: „ასეა საჭირო და იმიტომ. აბა, სხვანაირად, როგორო“... მერე დრამატურგიაში არაჰიპური, მაგრამ არც კალაშნიკოვური წყლის ჭავლებისა და რეზინის ხელკეტების ჩართვისას გოდო გადადგა, მაგრამ ახალი გოდო არ და ვერ მოვიდა და ძველი კვლავ ახალ გოდოდ მოგვევლინა. ახლა ისევ გადადექიო, ეუბნებიან, ჩვენი გოდოობის დრო მოვიდაო, „ასეა საჭირო და იმიტომ. აბა, სხვანაირად, როგორო“...

პირადად ჩემში ეს სევდიან-აბსურდული ისტორიები მოყირჭებული შინაარსის გამო ანორექსიის გარდა, უძირო სევდისა და ნიჰილიზმის შეტევებს იწვევს. სამწუხაროდ, გოდო-არაგოდოს მიმართება საქართველოს უახლესი ისტორიის მუდმივ მახასიათებლად გადაექცა. ამ აბსურდის თეატრში ყველაზე მუდმივ ბრუნვად — არგუმენტად კვლავ ქვეყნის სახელწოდება „საქართველო“ და ცნება „ხალხი“ რჩება. „საქართველოს გზა“, „ალიანსი... საქართველოსთვის“, „დემოკრატიული მოძრაობა... საქართველოსთვის“, „თავისუფალი საქართველო“, „სახალხო პარტია“, „ხალხის პარტია“, რომლებიც უფრო ენ-ჯი-ოშნიკურ გაერთიანებებს ჰგავს, ვიდრე პარტიული იდეოლოგიის მქონე სერიოზულ სტრუქტურებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დაფინანსებას არა დასავლეთის მიერ ნაჩუქარი ფულით, ანუ გრანტებით, არამედ სახელმწიფოსგან იღებს. ხალხმა, ხალხს, ხალხო!; საქართველომ, საქართველოს, საქართველოვ! იმავე დასავლეთში დაბადებული „ჰამბურგის ანგარიში“ ჯერ არც ქართულ პოლიტიკურ-პატრიოტულ რიტორიკაში ჩანს და არც — სოციალურში. დრო, ადგილი, ზომა-წონა, ციფრი, ანგარიში, გამრავლება-გამოკლება, კონკრეტიკა და დეტალები რა მოსატანია, როცა ახალი გოდო უნდა მოვიდეს — პრეზიდენტის, სპიკერის, პარლამენტის ან მეფის სახით... აი, ოპოზიციონერმა ხაინდრავამ ამერიკულ რუსულენოვან რადიო „დევიდზონში“ (13.04.09ძ განაცხადა, რომ სააკაშვილს ქართული წერა კითხვის უცოდინარმა ეროვნულმა უმცირესობებმა მისცეს ხმაო. თუმცა „მცირე დეტალი“ კვლავ დაავიწყდა. როდის მოხდა ეს ამბავი? გოდოს პირველი არჩევისას, როცა თავად გახლდათ „ქართული წერა-კითხვის უცოდინართა“ პრეზიდენტის დროინდელი, მაინტეგრირებელი მინისტრი თუ „უცოდინართა“ პრეზიდენტის მეორედ მოვლინებისას, როცა ხაინდრავას იქ არაფერი შესთავაზეს? ეს ეშმაკისეული დეტალი არავის აინტერესებს. „ასეა საჭირო და იმიტომ. აბა, სხვანაირად, როგორო“...




ერთი „პროგრესული ოპოზიციონერი“ გოდოს გამზრდელი გოდოს „შეკურთხებაში“ თავის მსმენელთან ერთად გვარიანად გაერთო და თანაც ისეთი ორიგინალური, არატრადიციული ფორმით, რომ აუდიტორიას ვერბალურად მამათმავლური აქტი შესთავაზა, მოგვიანებით კი მისი კონსერვატორი კოლეგა გამოვიდა და ქვეყნიდან მოუსვლელში მამათმავლების გაშვება მოითხოვა (ჰო, მართლა, ცნობისთვის „ყვითელი ისტორია“ ირწმუნება, რომ მაკედონელიცა და სპარტანელებიც მთლად ჰეტეროსექსუალები არ იყვნენოძ.

„მთამ თაგვი შვაო“, უთქვამს ბრძენს... ასე მოსდიოდა რევოლუციათა უმეტესობას, როცა იმავე დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ იგი თავისსავე მამებსა და შვილებს ხრავდა. ასე მოუვიდა ვარდებისასაც. იგივე სცენარი ოპოზიციასაც „ემართება“, გურჯიევის ტერმინს არაგურჯიევისეული კონტექსტით თუ მოვიხმობთ.

ძველ საბერძნეთში სპარტის მეფე აგესილაი ეგვიპტის მეფე ტაჰს დაეხმარა. ეგვიპტელებს ეგონათ აგესილაი ბუმბერაზი გოლიათი გმირი სპარტელი იქნებოდა, გაუზომავი ბიცეფსტრიცეფსებით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აგესილაი არა თუ დიდი, არამედ პატარა დევიც არ ყოფილა. იგი ჩია, გამხმარი და მოკუნტული მოხუცი აღმოჩნდა. იმათ კი გოდო დიდკაცად წარმოედგინათ და ამიტომაც გაწბილების ოხვრა აღმოხდათ. ესეც ბერძნული ტრაგიკომედიაა. როცა ტიტანურ შეძახილებსა და პომპეზურ მოლოდინებს თაგვის ან სულაც წრუწუნას დაბადება-გამოჩენა მოსდევს. მაგრამ გოდოს მომლოდინეებს მთავარსარდლის გარეგნობის გამო ერთმანეთი არ დაუხოცავთ და ცეცხლის ჩაქრობისას წყლის სისუფთავით არ დაინტერესებულან. მახსოვს, თბილისში რამდენიმე წლის წინათ „ცნობადი სახეების“ აზრით დაინტერესდნენ: დედაქალაქის მერი როგორი უნდა იყოსო. ერთმა მომღერალმა ქალბატონმა მერად არც მეტი, არც ნაკლები, ლამის ალექსანდრე მაკედონელის გარეგნობის ათლეტი მოინდომა (რასაკვირველია, ტრადიციული სექსუალური ორიენტაციისძ და დასძინა, მერი ნაღდი თბილისელი უნდა იყოსო, ანუ „კარენოი“, ვერა-ვაკელი გოდო გვინდაო, სხვანაირი არ ეკადრება ძველ და სახელოვანი ისტორიის ქალაქსო...

ქართულ ოპოზიციას დღეს, ისევე როგორც 18 წლის წინათ, ფრანგი შარლ დე გოლი გაახსენდა. ევროკავშირის წევრი ქვეყნის ცნობილი გენერლის სახელი და გვარი სულ რამოდენიმეჯერ გაისმის საქართველოს ისტორიაში და, როგორც წესი, რევოლუციების წინ. თუმცა იმ ფაქტს არასოდეს ახსენებენ, როცა ერთ მშფოთვარე პარიზულ დღეს, როცა დემონსტრანტებმა ლამის დე გოლის საპრეზიდენტო სასახლეს შეუტიეს, საფრანგეთის გმირმა გენერალმა, ფრანგული წინააღმდეგობის ხელმძღვანელმა თავის ხალხს ასე მიმართა: „ფრანგო ქალბატონებო და ბატონებო, დამეხმარეთ!“ თუმცა ეს „დეტალი“ რა მოსატანია, როცა მთავარია პრინციპი: „ასეა საჭირო და იმიტომ. აბა, სხვანაირად, როგორო“...

საქართველო კვლავ ელოდება ქართველ გოდოს, ინგლისურისა და საჭიროებისდამიხედვით კვლავ რუსულის კარგად მცოდნეს, „ჯიგრული ბაზარის“ გამბმელს, აუცილებლად უშიშარს, ასეული კინგ-კონგის ძალისას, რომელიც ატომურ ბომბს თუ არა, აფრენილ ტყვიას ჰაერში დაიჭერს, ნაღმზე არ აფეთქდება, საქართველოს შვეიცარიად გადააქცევს, დაკარგულს დაუბრუნებს, კორუფციასა და კრიმინალს სამუდამოდ მოსპობს, ხოლო მორალურ-პროფესიულად, ნახევრად ხუმრობით, საქართველოსთვის „დიმიტრი გელოვანი“ გახდება. ჩვენ კი გოდოს მოსვლა შესაბამისად უნდა ვიზეიმოთ, მერე ჩვენი ტვირთი მას გადავაბაროთ და ბოლოს და ბოლოს დავისვენოთ გოდოსდარად თუ არა, ადამიანურად მაინც.

ბეკეტური მოლოდინი ჩვენი ცხოვრების ტრაგიზმი და იმავდროულად კომედიაცაა. ეს „რეალითი შოუ“ ტელეეკრანებიდან და პარლამენტიდან „მასაში გავიდა“. შოუ კი, რომელიც დროზე არ მთავრდება, მოსაწყენია, უგემოვნო, ხოლო უკუკავშირად ცარიელ დარბაზსა და ცუდ კრიტიკას მიიღებს. საქართველოში არც XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს შეიცვალა რაიმე: დაბინძურებულ ქუჩებს კვლავ მოხალისე „გოგონა დამლაგებლები“ დაალაგებენ, 9 აპრილს დაღუპულთა ასაკის. გოდო კი მოხალისე არაა, იგი არც დამლაგებელია და, მით უმეტეს, არც გოგონა. იგი უფრო მაღალია, ვიდრე „გოგონა დამლაგებელი“. მისი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ არასოდეს მოვიდეს, ანდა ცხადში თუ არა, სიზმარში ერთხელ, ერთი წუთით მაინც „დაგვემართოს“; დანარჩენის ნება-სურვილი და უფლება-მოვალეობა კი მომდევნო გოდოს მოლოდინია...

**ია მერკვილაძე,**
**ჩვენი სპეც. კორ.**
**ნიუ-იორკი, აშშ**

**დასასრული. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 84.**

თვალსაზრისი

# მარინე ჩიტაშვილი: იმის სურვილს, რომ რომელიმე მხარემ მაქსიმალისტური ლოზუნგი დათმოს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ

(მესამე გვერდიდან)

რა მნიშვნელობა აქვს დალაგების სამსახურისათვის, ვინ რა აქციას ატარებს და სად? ეს უმარტივესი საკითხიც პოლიტიზაციას რომ არ ექვემდებარებოდეს, პერსონალია უნდა შეიცვალოს. შესაცვლელ პერსონალიებს შორის მე პირველ რიგში მიმაჩნია ქალაქის მერი გიგი უგულავა. როდესაც სახელმწიფო არ მუშაობს, როგორც გამართული სისტემა, ინსტიტუციური სისტემის დემონტაჟისათვის, სრულიად შესაძლებელია შეიცვალოს კონკრეტული პერსონალიები.

იმისათვის, რომ მედია იყოს თავისუფალი, საზოგადოებრივ მაუწყებელში არ უნდა მოქმედებდეს ის მმართველი საბჭო, რომელიც ახლა ხელმძღვანელობს საზოგადოებრივ მაუწყებელს. თავხედობა არ იყო განცხადება — „მერე რა, რომ სამმა კაცმა ბორდი დატოვა?“ მაუწყებლის ხელმძღვანელებს არხის მართვის მორალური უფლება არა აქვთ, ვინაიდან არ პასუხობენ კითხვას, თუ რატომ დატოვა ბორდი 7 წევრიდან — სამმა. ოთხ კაცს ხომ მართვის უფლებამოსილება არა აქვს.

**— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული პოლიტიკური პროცესების არასასურველი სცენარით განვითარება?**

— ჩემი რჩევა შესაძლოა უტოპიური და იდეალისტური იყოს. მე არაფერს ისეთს არ ვამბობ, რომლის რეალობა კარგად არა აქვს წარმოდგენილი ხელისუფლებას. თუ ხელისუფლება თანახმაა, შეიზღუდოს ხელისუფლება, მას გადასადგმელი აქვს ერთადერთი ნაბიჯი, საერთაშორისო ორგანიზაციების მედიატორობით დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან.

საერთაშორისო ორგანიზაციებს მოზეზრდათ ფსევდოდემოკრატების მოსმენა, მათ აღარ სურთ ფსევდოდემოკრატიული განცხადებების მოსმენა, არც ერთი და არც მეორე მხრიდან.

თუ ხელისუფლება დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო მედიატორის და არა მარტო დამკვირვებლის მონაწილეობით, ეს ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს, რომ საზოგადოება დარჩება მაქსიმალურად მოგებული. გამოირიცხება რადიკალიზაცია ორივე მხრიდან და მხარეები მივლენ რაციონალურ გადაწყვეტილებამდე.

მაშინ, როცა ორივე მაქსიმალური კონტროლისათვის იბრძვის, უნდა შედგეს შეთანხმება სწორედ ქვეყნის საკეთილდღეოდ, ანუ მოხდეს კონტროლის მაქსიმალური შეზღუდვა რეალისტურ ნორმებამდე, ასეთ შემთხვევაში, ვიმეორებ, მოგებული საზოგადოება დარჩება. დიდი სურვილი იმისა, რომ რომელიმე მხარემ მაქსიმალისტური ლოზუნგი დათმოს, სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ და ეს უპირველესად ხელისუფლებას ეხება.

**კობა ბენდელიანი**

გლობუსი

# სახელმწიფო პასუხისმგებლობის გარეშე ქვეყანა ვერ შედგება

საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერარნახულ ფაზაში შედის. ორ კვირაზე მეტია გრძელდება მიტინგები, ფართოვდება საკნების გეოგრაფიაც, პარლამენტის წინ გამართულ მიტინგში რაიონების მოსახლეობაც იღებს მონაწილეობას, თვალში საცემი ხდება ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენების აქტები, ტელეკომპანიები ჩვეული „დამაჯერებლობით" გვაუწყებს ახალ ეკონომიკურ წარმატებებს პრეზიდენტის „დამაიმედებელი" სიტყვით, სასტუმროებში ცალ-ცალკე იმართება პრეზიდენტის მომხრე და მოწინააღმდეგე ინტელიგენციის შეხვედრები. შეხვედრებია საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებთან – ერთი სიტყვით, ცხოვრება მრავალფეროვნად მიედინება, თუმცა მას ნაკლებად შეიძლება ეწოდოს ნორმალური.

**წლების განმავლობაში ფარულად გაყოფილი საქართველო ღია გათიშულობის მაგალითს აჩვენებს, რომლის ფონზეც დიალოგის მოწოდება გულუბრყვილობაა. დიალოგი არ გამორიცხავს შეთანხმებას, რაც დაპირისპირებული მხარეების პოზიციიდან გამომდინარე შეუძლებელია. დიალოგი უკვე შედგა ერთმანეთთან პირისპირ სხდომის გარეშე. პარლამენტთან შეკრებილებმა ერთხმად მოითხოვეს პრეზიდენტის გადადგომა, მან კი ტელევიზიით გვაუწყა, რომ არ გადადგება. აქედან გამომდინარე, ყბადაღებული „დიალოგის" თემა ამოწურულია. ოპოზიციის დღის წესრიგში ერთი საკითხია – გადაყენება.**

გადაყენების ხსენება ნეგატიურ რეაქციას იწვევს ყველა ნაცში. მათი აზრით გადაყენება არაკონსტიტუციური აქტია. ხელისუფლება ისე უტეხად აცხადებს ამას, თითქოს თვითონ არ დაერღვიოს კონსტიტუცია 2003 წელს. ხელისუფლება უფრო შორს მიდის – ოპოზიციამ გაგვაცნოს რა გეგმები აქვსო, თითქოს თვითონ წარედგინოს შევარდნაძისთვის ქვეყნის მართვის გეგმა. ხელისუფლება თავს უზენაესთან აიგივებს – „გაგვაცნოსო", თითქოს მას მინიჭებული ჰქონდეს შემფასებლის სტატუსი.

**ხელისუფალთა მიერ არარსებულ წარმატებებზე ლაპარაკმა საზოგადოებას საბოლოოდ დაუკარგა ინტერესი და რაც არ უნდა ამტკიცონ სააკაშვილმა, ბაქრაძემ, გილაურმა, ვაშაძემ, იაკობაშვილმა, სხვებმა სოფიაში, ბრიუსელში, ჰელსინკში, ვაშინგტონში თუ სხვაგან მიღწეულ გამარჯვებებზე, არაფერი გამოვა. საზოგადოებას აღარ სურს მსგავსი ზღაპრებით თავის გამოკვება. ის სხვა მოლოდინშია. მას ახალი ცხოვრების დაწყება სურს. მას მრავალი კითხვა ებადება ოპოზიციის და არა ხელისუფლების მიმართ. ამ უკანასკნელთან მან დაამთავრა ურთიერთობა.**

კითხვები ერთის შეხედვით ტრაფარატულია. ვინ იქნება პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი. როგორი იქნება ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და სხვა. ოპოზიცია ლაკონურად პასუხობს – თეთრი და შავი, პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების შემდეგ გამოჩნდებაო.

**ოცწლიანი მანკიერი სახელმწიფო სისტემის შემყურე საზოგადოება ვერ აანალიზებს მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ვერც ერთი ოპოზიციური პარტია თავდაჯერებით ვერ იტყვის საპარლამენტო არჩევნებში ისეთი წარმატების მიღწევაზე, რომელიც უზრუნველყოფს საპარლამენტო უმრავლესობის შექმნას. პოლიტიკური პარტიები თანაბარი პოპულარობით სარგებლობენ, რაც თავისთავად გამორიცხავს ერთპარტიულ უმრავლესობას. თუ ვითარება ასე წარიმართება, საქართველოში ახალი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება დაიწყება. დასრულდება ერთპარტიული ოცწლიანი მმართველობა, რომელსაც სათავე „მრგვალმა მაგიდამ" დაუდო, „მოქალაქეთა კავშირმა" გააფართოვა, „ნაციონალურმა მოძრაობამ" ზენიტში აიყვანა.**

ვადამდელ არჩევნებში არაერთი პარტია მიიღებს მონაწილეობას. ისინი საზოგადოებას არჩევნებამდე გააცნობენ თავიანთ პროგრამას, რაც თავისთავად მისცემს ამომრჩეველს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. ამ ეტაპზე კი ოპოზიციის უმთავრესი მიზანი ხელისუფლების დაყოლიებაა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე. წარმატების მიღწევის შემთხვევაში, არჩევნების შემდეგ პარლამენტში მოხვედრილი პარტიები ერთმანეთში გაინაწილებენ საპარლამენტო და აღმასრულებელ თანამდებობებს. შეიძლება კოალიციური მთავრობა, რაც როგორც აღვნიშნე, ახალი ცხოვრების დასაწყისი იქნება. უნდა ვიმედოვნოთ, რომ დაგვიანებით მაინც დაიწყება სახელმწიფოს მშენებლობა, წერტილი დაესმება სამარცხვინო „არშემდგარობას".

**ამას წინათ ტელეკომპანია RTVI-ზე ერთმა პოლიტოლოგმა, ყოველგვარი ცუდი ზრახვების გარეშე, საქართველო-აზერბაიჯანის ერთმანეთთან შედარების დროს განაცხადა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო არ შედგა, რომ ქართული საზოგადოება არ იყო მზად ამისთვის, რომ მასში არ იყო გამჯდარი სახელმწიფოს შექმნისთვის საჭირო სახელმწიფო პასუხისმგებლობა.** მან აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის პირველი წლები მძიმე იყო აზერბაიჯანისთვის. ქვეყანა დაშლის პირას იყო მისული, მაგრამ ხალხმა ობიექტურად შეაფასა ვითარება, მხარში ამოუდგა სახელმწიფო მშენებლობაში გაწაფულ ჰეიდარ ალიევს და შედეგსაც მიაღწია. ცხადია აზერბაიჯანს, ისე, როგორც სხვას, აქვს პრობლემები, მაგრამ არა ისეთი, როგორიც საქართველოს. აზერბაიჯანი აღმავლობის გზაზეა, რაც არა მარტო ენერგეტიკით არის განპირობებული, არამედ გაწონასწორებული პოლიტიკით, მოსკოვ-ვაშინგტონთან დაბალანსებული ურთიერთობით. აზერბაიჯანის პრეზიდენტი თავს უფლებას არ მისცემს თქვას ის, რაც სააკაშვილმა სოფიის შეხვედრაზე თქვა – რუსეთი ბომბავდა საქართველოს, მას სურდა მილსადენების აფეთქება, რათა შეწყვეტილიყო ევროპის მომარაგებაო. საინტერესოა, თუ ასეთი გეგმა ჰქონდა რუსეთს, რამ შეუშალა ხელი? ძნელია თუნდაც ამ გამოსვლის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობის ქონა, არადა, სოფიამდე თვით სააკაშვილი აცხადებდა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აუცილებლობის თაობაზე.



**სააკაშვილის და სხვა ხელისუფალთა თავებში არსებული პოლიტიკური სლალომი ჩამოუყალიბებლობის, უმწიფრობის სრულ სურათს ქმნის. ის არა მარტო ხელისუფალთ ეხება, არამედ მთელ ქვეყანას, აქედან გამომდინარე არ უნდა გვეწყინოს პოლიტოლოგის სიტყვები.**

**სახელმწიფო პასუხისმგებლობა თითოეულ მოქალაქეში უნდა იგრძნობოდეს, მით უმეტეს სახელმწიფო მოხელეში. ძნელია სახელმწიფო პასუხისმგებლობაზე საუბარი, როდესაც ხელისუფლების დასაცავად საზოგადოებაში არცთუ იშვიათად გაისმის – რა მოხდა, ახალგაზრდაა, შეარგოსო. მასაჟისტური თავგადასავლის შემდეგ ცოტას თუ გაუჩნდა კითხვა – ვის ხარჯზე? საზოგადოებაში, სადაც დეფიციტია პრეზიდენტის საქციელით გამოწვეული აღშფოთება, ძნელია სახელმწიფოს ჩამოყალიბება.** სახელმწიფო არც მაშინ ჩამოყალიბდება, როდესაც ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტი სანაია გაკვირვებით ჰკითხავს ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ძიძიგურს – პრეზიდენტს რატომ არ აქვს რესტორანში მისვლის უფლებაო და ისიც მიუგებს, როგორ არ აქვსო. სააკაშვილს, როგორც მოქალაქეს, აქვს რესტორანში მისვლის უფლება, მაგრამ სააკაშვილს, როგორც პრეზიდენტს ეს უფლება შეზღუდული აქვს, ვინაიდან პრეზიდენტის რესტორანში მისვლა მრავალ პრობლემას უკავშირდება – ქუჩების გადაკეტვას, რესტორნის მთელს პერიმეტრზე დაცვის მუშაკების განლაგებას, ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების შეზღუდვას, რესტორანში მყოფთათვის დისკომფორტის შექმნას, მათზე კონტროლის დაწესებას. პრეზიდენტზე თავდასხმის შემთხვევაში რესტორანში მყოფნი სერიოზულ საფრთხეში აღმოჩნდებიან. პრეზიდენტი მხოლობით რიცხვში არ მიდის რესტორანში. მას ყოველთვის ახლავს მრავალრიცხოვანი დაცვის მუშაკები, რაც თავისთავად ქმნის პრობლემებს. ამიტომაც არც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი თავს უფლებას არ მისცემს სააკაშვილივით სისტემატურად იქეიფოს რესტორნებში, იშვიათი გამონაკლისიც არსებობს, როდესაც პრეზიდენტი მეუღლესთან ერთად დაცვის გარეშე მიდის რესტორანში ან სხვაგან, ისე, როგორც ამას შვედეთის პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე აკეთებდა, თუმცა მისი და მისი მეუღლის ქუჩაში გასეირნება ტრაგედიით დასრულდა.

**ყოველივე აღნიშნულის გარდა, არსებობს მორალური ფაქტორიც. მშიერი ქვეყნის პრეზიდენტი ყველას დასანახად სისტემატურად არ უნდა მიირთმევდეს ძვირადღირებულ კერძებს, თუმცა დარწმუნებული ვარ ფასები მას არ ადარდებს. მისი სადილი ან ვახშამი რესტორნების მეპატრონეებს ეწერება.**

**დროსტარებისა და პრეზიდენტობის შეთავსება შეუძლებელია. პასუხისმგებლობით განმსჭვალულ ქვეყანაში პოლიტიკასა და სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარმა კაცმა კარგად იცის, რომ მისი პირადი ცხოვრებაც შეზღუდულია. ვისაც თავისუფლება სურს, მას შეუძლია დატოვოს პოლიტიკა. არჩევანი მასზეა. აქ ძველი ანეკდოტი სეროჟას მეფობასთან და ხანდახან „საპოჟნიკობასთან" დაკავშირებით უადგილოა.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

მხარე

# წყლით გულს იჯერებს მწყურვალი მიწა!

## ნიქოზში, სატუმბი სადგურის მშენებლობაზე

**დრო იყო, ლიახვი ქართლის მინდვრებზე ლაღად, ხმაურით მორბოდა. მას შემდეგ, რაც სეპარატისტებმა ცხინვალში მდებარე ტირიფონისა და სალთვისის კაშხალიანი სათავე ნაგებობა ჩაგვიკეტეს, საიდანაც შიდა ქართლის 25 ათასამდე ჰექტარი მიწა ირწყვებოდა, მოსახლეობა პანიკამ მოიცვა – რა ეშველება ბაღ-ბოსტან-ვენახებს, ერთწლიან და მრავალწლიან ნარგავებს, რიღათი მოვრწყათო.**

ეშველება! ხელისუფლებამ ამ ზამთარს ლიახვის ქვემოწელში, ნიქოზი-ერგნეთის სანახებში მასშტაბური მშენებლობა წამოიწყო – აქ შენდება მაღალი წარმადობის სატუმბი სადგური, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ტირიფონისა და სალთვისის სარწყავი სისტემების მაგისტრალურ არხებში წყლის მიწოდებას. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ტირიფონის სარწყავი სისტემით 18 ათასი ჰექტარი ფართობის მორწყვაა შესაძლებელი, სალთვისის არხით – 6 ათასი ჰექტარისა.

ჩვენ ახლა აქ, ქვემო ნიქოზის სანახებში სატუმბი სადგურის მშენებლობაზე ვიმყოფებით. სამშენებლო ტექნიკა, სპეციალური მექანიზმები, ახლო-მახლო სოფლებიდან მოწვეული მუშახელი ერთ დიდ სამშენებლო პოლიგონს წარმოადგენს, რომლისკენაც მიპყრობილია მთელი შიდა ქართლის გლეხობის ყურადღება.

– შპს „საპროექტო ტექნოლოგიურმა ბიურომ" საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით დაამუშავა მდინარე ლიახვზე კაშხალიანი სათავე ნაგებობის პროექტი, – გვეუბნება პროექტის ხელმძღვანელი ავთანდილ ჯაყელი, – მუნიციპალური განვითარების ფონდმა კი ამავე ბიუროს სატუმბი სადგურის პროექტის შემუშავება შეუკვეთა. მშენებლობას შპს „ნიუ ინერჯი" აწარმოებს.

ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს წყალმიმღები კვანძის კაშხალიანი სათავის მშენებლობა, კვანძი წამში 14 კუბურ მეტრ წყალს გაატარებს. დენადობა განხორციელდება მშენებარე კაშხალის ტანში მოწყობილი ე. წ. ორძაფიანი გვირაბის მეშვეობით. ამჟამად მიმდინარეობს ტირიფონის არხამდე 814 მეტრ სიგრძეზე სარწყავი მილების ჩაწყობის წინა სამუშაოები. მილებს კი ამ დღეებში უკრაინიდან მოელიან.

თავად სატუმბ სადგურში ექვსი აგრეგატი დამონტაჟდება. მან უნდა უზრუნველყოფს ტირიფონის მაგისტრალურ არხში წამში რვა კუბური მეტრი წყლის გატარება. პროექტი ითვალისწინებს სატუმბი სადგურის შენობის, სალუქავისა და ავანკამერის ტერიტორიის შემოღობვას და მოასფალტებას.

შიდა ქართლის რაიონების სავარგულები სარწყავი წყლით სრულად იქნება უზრუნველყოფილი მეორე რიგის სამუშაოების დამთავრებისთანავე. ამ მიზნით ტირიფონის არხს მდინარეებიდან მეჭუტიდან და პატარა ლიახვიდან დამატებით კვებას გაუზრდიან. გლეხობა შვებას წლეულს ზაფხულიდანვე იგრძნობს, როდესაც მეორე რწყვის სამუშაოები დაიწყება.

მანამდე კი აქ დილიდან მზის ჩასვლამდე მშენებლები მუხლჩაუხრელად საქმიანობენ. მებულდოზერე ნოდარ სეფისკვერიძე, ექსკავატორისა და ავტოამწის მემანქანეები აქიფ გულმამედოვი, ელვარდ სახელაშვილი, ბესო გეგეშიძე და სხვები ყოველდღიურად აახლოებენ სატუმბი სადგურის ამოქმედების დღეს.

მშენებლობას, რომელიც ხუთნახევარ მილიონ ლარზე მეტი ჯდება, აწარმოებს შპს „მშენებელი-80" (დირექტორი – ვალერი ბუცხრიკიძე, მშენებლობის უფროსი – ზურაბ წიკლაური, სამუშაოთა მწარმოებელი – გოგი ბუჩუკურიძ. ჩვენს გლეხობას შეუძლია, მშვიდად იყოს. წყალიც ექნება, მოსავალიც მოვა და ბუნება სიუხვის კალთასაც დაიბერტყავს. ჩვენი სოფლის ეკონომიკის აღმასვლას, მის კეთილდღეობას ვერას დააკლებს ვერც სეპარატისტები და ვერც მათი მფარველები.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ" საკ. კორ.**

ინფორმაცია

## მოითხოვენ უკანონო პატიმრის გათავისუფლებას

**ადვოკატი „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" აჭარის ოფისის ხელმძღვანელის ზურაბ ავალიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას და მის გათავისუფლებას მოითხოვს.**

**როგორც ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა განაცხადა, ზურაბ ავალიანი არის უკანონო პატიმარი, რადგან მის მიმართ განხორციელდა არაკანონიერი ქმედებები, დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლებები.**

**მისივე ინფორმაციით, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ავალიანის მეგობარი და მძღოლი, რომლებიც მასთან ერთად იმყოფებოდნენ სახლში, ადასტურებენ, რომ დაძინებამდე ავალიანის სახლში არავითარი ცეცხლსასროლი იარაღი და შავი ფერის ჩანთა არ ყოფილა. გარდა ამისა, სახლიდან ამოღებულ იარაღზე არ აღმოჩნდა ზურაბ ავალიანის ხელისა და სუნის კვალი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კუდ-ის თანამშრომელი ამირან ყიფიანი ჩვენებაში ადასტურებს, რომ ავალიანს იარაღის ყიდვის სურვილი არ გამოუთქვამს.**

**ავალიანს ბრალი წაუყენს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის და 26 მარტს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.**

## პიტერ სემნები თბილისში ჩამოვა

**ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები თბილისში მორიგი ოფიციალური ვიზიტით პირველ მაისს ჩამოვა.**

**პიტერ სემნები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ოპოზიციის ლიდერებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან მორიგ შეხვედრებს გამართავს.**

**არსებული ინფორმაციით, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი თბილისში 2-3 დღე დარჩება.**

ინტერპრესნიუსი

ფიქრები ხმამაღლა

# ხელკეტებიდან ბირთვულ ქობინებამდე

(მეოთხე გვერდიდან)

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე და უსაფრთხოება. ხელისუფლებას ვირჩევთ იმისთვის, რომ მან უზრუნველყოს ჩვენი ამომრჩევლების კონსტიტუციური უფლება სამართლიანობაზე, სიცოცხლეზე, უშიშროებაზე, სწავლაზე, გადაადგილებაზე, შიდა და გარე საფრთხეებზე, გამოკვებაზე და ა. შ.

ისიც გავიხსენოთ, რომ ხელისუფლებამ სულ ახლახან ვერ შესძლო საკუთარი მოქალაქეების დაცვა საგარეო საფრთხისგან, უკიდურესად შეზღუდა გადაადგილების, სწავლის, ჯანმრთელობის უფლება. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება უკვე გადამდგარია და ამას საკუთარ მოქალაქეებს უმალავს! თუ ეს ასე არ არის, მაშინ მისი ქმედება არის ანტიკონსტიტუციური, კერძოდ, ირღვევა კანონი მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ. ხოლო თუ ასეა (ხელისუფლება გადადგა, ან ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას), მაშინ სასწრაფოდ ახალ არჩევნებზე უნდა ვიზრუნოთ.

ახლა იმის თაობაზე, რა შეიძლება მოჰყვეს ამგვარ უპასუხისმგებლო ქმედებას.

როცა საზოგადოება რწმუნდება, რომ სახელმწიფოს არ სურს ან არ შეუძლია მისი უსაფრთხოების დაცვა, ზოგადად, სამართლიანობის დამკვიდრება, თვითონვე იწყებს ჯერ ფიქრს და მერე ქმედებას საკუთარი თავისა და სამართლიანობის



დაცვისთვის. „მდაბიურ ენაზე“ ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებაში ჩნდებიან არაფორმალური ავტორიტეტები, საბჭოთა ტიპის ე. წ. „კანონიერი ქურდები“ („ვორი ვ ზაკონე“), რომლებიც გარკვეული გასამრჯელოს ფასად თვითონ კისრულობენ მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის ფუნქციას. ამავე დროს, ასპარეზზე გამოდიან შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც სამართლიანობის სახელით მზად არიან ნებისმიერი (თუნდაც, პოლიტიკური ელფერის მქონე) დანაშაულის ჩასადენად. ბოდიშის მოხდით შეგახსენებთ, რომ ასე შეიქმნა მსოფლიოში ცნობილი მრავალი უსასტიკესი ტერორისტული ორგანიზაცია („მაფია“, „ეტა“, „წითელი ბრიგადები“, „ირლანდიის გათავისუფლების ორგანიზაცია“, „ჰამასი“, „ალ-ყაიდა“ და უამრავი სხვა).

თუ ხელისუფლება, პოლიტიკური ბრძოლის გაიოლების მიზნით, ოპოზიციის ხელოვნურად კრიმინალიზაციას ცდილობს, ეს ძალიან სახიფათოა, ვინაიდან იძულებული გახდება, თვითონაც ჩაება ბინძურ თამაშში. უფრო ზუსტად, საკუთარი ნებით დანაშაულის თანამონაწილედ იქცეს (ფაქტობრივად, დედამიწაზე არ არსებობს სახელმწიფო სტრუქტურებთან დანაშაულებრივად დაუკავშირებელი მეტ-ნაკლებად სერიოზული საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაცია).

ვიმეორებ, ეს არის თუმცა, ძალიან საშიში, მაგრამ სრულიად კანონზომიერი მოვლენა, საზოგადოების ბუნებრივი რეაქცია ხელისუფლების ქმედებაზე. შესაბამისად, პასუხისმგებლობა შედეგებზე ეკისრება ხელისუფლებას.

მოვლენების სწორედ ამ მიმართულებით განვითარების პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა. მართალია, დღეს ამ ნიშნებს ხელისუფლება ირონიული ღიმილით უყურებს, მაგრამ სრული დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ხვალ ვითარებას ვერც დღევანდელი ხელისუფლება გააკონტროლებს და ვერც ხვალინდელი.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მრავალი ომის გადამტან და რუსეთის კარის მეზობელ საქართველოში იარაღის პრობლემა პრაქტიკულად არ არსებობს. ამის დასტურად თვით მერაბიშვილის უწყების ვიდეოსერიალებიც გამოდგება.

ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, ბატონო შემოქმედებო – თქვენმა ორიგინალობამ, შესაძლოა, ქვეყანა ისეთ ჭაობში ჩაითრიოს, საიდანაც ამოსვლას, იქნებ, ორი საუკუნეც აღარ ეყოს.

**მიხეილ დარახველიძე**

ინფორმაცია

## დაიბარეს არა როგორც ეჭვმიტანილები, არამედ სათანამშრომლოდ

**„ხალხის პარტიის“ ქუთაისის რაიონული განყოფილების ორი წარმომადგენლის ზაზა ელჩიბეგოვისა და ირაკლი კობახიძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით შს სამინისტრო განცხადებას აქვეყნებს.**

**– ძველი თბილისის რაიონის პოლიციის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ზაზა ელჩიბეგოვისა და ირაკლი კობახიძის ცემის ფაქტზე. აღნიშნულ პირებს პოლიციამ გადასცა უწყება, სადაც განმარტებულია, რომ ისინი იყვნენ დაბარებულნი პოლიციაში, რათა დაკითხულიყვნენ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მათ უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე. პოლიცია მოუწოდებს აღნიშნულ პირებს ითანამშრომლონ გამოძიებასთან, რათა საქმეზე ჭეშმარიტება დადგინდეს, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.**

ინტერპრესნიუსი

რა დღეშიც ვართ

***მტკვარში გადახტომისგან ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ ხელისუფლების ეკონომიკურმა პოლიტიკამ (თუკი ამას პოლიტიკა შეიძლება დავარქვათ), რომ კომერციული ბანკებისა და მათი მოვალეების ურთიერთობა უკიდურეს ზღვრამდე დაძაბა, ამას დღეს გვერდს ველარავინ აუვლის. თავად ხელისუფლებას, როგორც სჩვევია, ბარდებში თავშერგული ხოხბის პოზიცია უჭირავს და იმის მაგივრად, რომ შეცდომები აღიაროს, ტრაბახითა და ბაქიბუქით გვიკლებს. მიღწეულით განსაკუთრებით პრეზიდენტი სააკაშვილი ამაყობს, რომელიც საკუთარი თავის წარმოსაჩენად „ეპითეტებს“ არ იშურებს: ნახეთ, რა ხდება მეზობელ სახელმწიფოებში, ევროპისა და აზიის უმრავლეს ქვეყნებში, სადაც ბანკები ისე ჩამოიშალა, რომ მეანაბრეებსაც კი ველარ ისტუმრებენო.***

# ბანკები წუწუნისგან თავს იკავებენ

## მოვალეები კი ლამის მტკვარში გადახტნენ



ჩვენთან? ჩვენთან თურმე, იმავე სააკაშვილის თქმით, ბანკებს ამის საშიშროება არ ემუქრება. იმის მიუხედავად, რომ რუსული აგრესია გადავიტანეთ და მსოფლიო კრიზისის კლანჭებსაც ვერ დავუძვერით, ხელისუფლება ქვეყანაში კვლავაც ინარჩუნებს სტაბილურობას და ბანკებიც ჩვეული რიტმით მუშაობენო, – გვმოძღვრავენ მთავრობის მაღალჩინოსნები.

მართლა ასეა, თუ ჩვენი ბაქია პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მის მიერვე დაგებულ ევროგზებზე ნაცრის კორიანტელს აყენებს? ვისაც მის „დამსახურებაში“ ეჭვი არ ეპარება, ალბათ, ამ უკანასკნელ ვარიანტს ირწმუნებს. რაც უნდა „შეაპარინკოს“ სააკაშვილმა არსებული რეალობა, ფაქტი ის გახლავთ, რომ ქვეყანაში კომერციული ბანკების ზარალი ყოველთვიურად იზრდება. მარტო წლევანდელ იანვარ-თებერვალში ბანკებმა 18,738 მილიონი ლარი იზარალეს. უფრო მეტიც, იანვართან შედარებით, თებერვალში ზარალი გაორმაგდა და ის 6,5 მილიონიდან 12,2 მილიონ ლარამდე გაიზარდა (!).

ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ გახლავთ გულგასახარი, მაგრამ სიმართლეს თვალი ხომ უნდა გავუსწოროთ? თავს რომ ვინუგეშებთ, აგვისტოს ომმა ჩვენს ეკონომიკას კენჭიც ვერ ააგდებინა, რუსეთისა კი მთლიანად დაანგრიაო, ამით რას ვიგებთ? მთავრობა შეიძლება იგებს (ცრუ რეიტინგს იკეთებს), აი, კომერციულმა ბანკებმა კი, რომლებიც ყოველდღიურად რამდენიმე მილიონი ლარის მოგებას ილებდნენ, შარშანდელი აგვისტო 37,3 მილიონი ლარის, ხოლო მთლიანად წელი 215,7 მილიონი ლარის ზარალით დაამთავრეს. მარტო გაცემულ სესხებზე ბანკებმა, აგვისტოდან მოყოლებული, 550 მილიონ ლარზე მეტი დაკარგეს.

თუ უტიფრობას გამოიჩენთ და ამ ციფრებს ცხვირწინ აუფრიალებთ, მთავრობა მაშინვე მტყუანი ბავშვივით აიბზუება და ყველაფერს რუსულ აგრესიას და მსოფლიო კრიზისის გულქვაობას გადააბრალებს. მას რატომღაც არ სურს გაიხსენოს, რომ ბიზნესის არნახული ტემპებით ზრდის სურვილით მის მიერვე შეთხზულმა „იაფი სესხების“ პოლიტიკამ ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზევე „უკბინა“ კომერციული ბანკების აქტივების ზრდის ტენდენციას. მაშინ უამრავი ადამიანი მიაწყდა ბანკებს იმ იმედით, რომ „იაფი სესხის“ წყალობით ბიზნესს წამოიწყებდა, ან მანამდე დაგროვილ ვალებს გაისტუმრებდა და ცხოვრებას ერთგვარად შეიმსუბუქებდა. ბანკებიც თავიანთი წინდაუხედაობით თუ მთავრობის ზეწოლით (უფრო ამით) მიჰყვნენ მაცდუნებელ გზას, გასცეს დიდი ოდენობის კრედიტი, რომლის ამოღება ფინანსური კრიზისისა თუ კლიენტთა დიდი ნაწილის გადახდისუუნარობის გამო ვეღარ შეძლეს. მერე კი შეზღუდეს კრედიტების გაცემა და ბოლოს აკრძალეს კიდეც, მაგრამ რაღა დროს – ურემი უკვე გადაბრუნებული იყო. შემოსავლების შემცირებისა და სხვა ფინანსური პრობლემების მიზეზით გადაუხდელობის გამო, ბანკებს დარჩათ გირაოში ჩადებული ბინები, კომერციული ფართობები, მიწის ნაკვეთები და სხვა უძრავი ქონება, რომლის ფასი სულ უფრო მცირდება, ბანკების ზარალი კი იზრდება და იზრდება.

**ციფრები „შთამბეჭდავია“, საბანკო სექტორში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა წლეულს თებერვალში კიდევ 61 მილიონი ლარით გაიზარდა და დღევანდელი მონაცემებით მან 238 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ამ კატეგორიის სესხების ზრდა უმეტესად უძრავი ქონების ბაზრის პრობლემებმა გამოიწვია, რამაც ბანკების „შავ სიაში“ მოხვედრილ მოვალეთა რაოდენობა კატასტროფულად გაზარდა. ამ სიაში უკვე 175 ათასზე მეტი პირია აღრიცხული, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება (!).**

როგორც სარწმუნო წყაროებით ირკვევა, არის კიდევ სხვა ტკივილაუმტანი პრობლემები, რომელთა გაყუჩებასაც ბანკები როგორღაც სიმუნჯით ახერხებენ, არ წუწუნებენ და მათზე საუბრისგან თავს იკავებენ, მაგრამ როდემდე? ნათქვამია, კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი ვერ დამალაო. და აი, საზოგადოებაში უკვე გაჟონა ცნობამ, სპეციალური საagentოების შექმნის შესახებ, რომლებიც ბანკებს პრობლემური სესხების ამოღებაში დახმარებას სთავაზობენ. ამ სააგენტოებში ძირითადად დასაქმდებიან სასამართლოთა ყოფილი აღმასრულებლები და პოლიციელები, რომლებიც მოქალაქეებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლაში საკმაოდ დახელოვნებული არიან. ისინი სატელეფონო ზარებით და სხვა საშუალებების გამოყენებით ისეთნაირად იმოქმედებენ მსესხებლებზე, რომ ისინი შესაძლო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მუქარით შეაშინონ, თანაც ისე, რომ კანონიერების ზღვარი არ გადალახონ. როგორც იურისტები განმარტავენ, სიცოცხლის ხელყოფის ან ქონების განადგურების მუქარისგან განსხვავებით, ეს კლასიკურ მუქარად არ აღიქმება და არც დანაშაულად კვალიფიცირდება.

**აქ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: იძლევა კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმის საშუალებას, რომ გადახდისუუნარო მოქალაქეების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდეს? თეორიულად კი შეიცავს ასეთ შესაძლებლობას კანონი, ამბობენ სამართალმცოდნეები, მაგრამ ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციაში ჩაწერილია, რომ არ შეიძლება ვალების გამო მოქალაქე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცესო. თუმცა ძნელია მათთვის გარანტიების მიცემა. არის შემთხვევები, როცა ცალკეული მოქალაქეები სესხის მიღების მიზნით, ბანკს არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ და ყალბ საბუთებს წარადგენდნენ. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება მოქალაქის საქციელს თაღლითობის კვალიფიკაცია მიესადაგოს და ის პასუხისგებაში მიეცეს.**

ეს პრობლემა ბოლო დროს პოლიტიკოსების ინტერესთა სფეროშიც მოექცა. ოპოზიცია სახელმწიფოსგან ამ ვალების შესყიდვას და მსესხებელთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას მოითხოვს, იურისტები კი მოსახლეობას ბანკთან არსებული პრობლემების მოგვარების საუკეთესო საშუალებად ისევ ბანკთან თანამშრომლობას ურჩევენ. თავად ბანკებიც ცდილობენ კლიენტებთან ურთიერთობის ახალი ფორმები გამოძებნონ და მდგომარეობა ამით შეიმსუბუქონ. მაგალითად, „საქართველოს ბანკში“ აცხადებენ, რომ მათ სესხების რესტრუქტურიზაცია მოახდინეს, ის გრძელ პერიოდზე გადაანაწილეს და ამით პრობლემა მოაგვარეს. თუმცა სესხების რესტრუქტურიზაცია თავად ბანკებსაც კარგად მოეხსენებათ, რომ სულაც არ ნიშნავს პრობლემის სრულად გადაწყვეტას. ასეთი შეთავაზება მისაღები იმ პიროვნებისთვის აღმოჩნდა, ვინც მცირე სესხებით სარგებლობს, ხოლო ვისაც დიდი თანხა აქვს ზურგზე წამოკიდებული, პროცენტის მინიმუმ ერთი წლით გაუქმებას მოითხოვს.

**რა ქნან, რა ხერხს უნდა მიმართონ ბანკებმა, რომ არც კლიენტი მოიმდურონ და ზარალსაც თავი დააღწიონ? მათ ერთ-ერთ გამოსავლად იმას მიაგნეს, რომ დოლარის მიმართ ლარის კურსის ვარდნის შემდეგ ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებს გადახედეს, გადახდის გრაფიკი თვითნებურად შეცვალეს და მოვალეებს დამატებით სავალუტო რისკის პრემიის გადახდა დააკისრეს. არც ეს გამოუვიდათ, საქმეში ჩაერივნენ კვალიფიციური იურისტები, რომელთაც ბანკები კლიენტების უსაფუძვლო დამატებითი თანხების გადახდევინებაში დაადანაშაულეს.**

მთავრობა როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, თუ არ ჩავთვლით მის წინაალმდეგ ამბოხებულ სრულიად საქართველოს მოსახლეობას, „მშრალზე“ გამოვიდა. რა თქმა უნდა, აბა ვინ შეედავება ხელისუფლებას, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკა და ხალხის კეთილდღეობა ისე დაანგრია, რომ ბანკებისგან სესხად (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად) კაპიკიც კი არ აუღია...

ქებათა ქება მის საზრიანობას და მომჭირნეობა-ყაირათიანობას!

**ოთარ ხუციშვილი**

◉ აქეთურ-იქითური

*უკანასკნელ დღეებში რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სპეცსამსახურების მიერ გაბუქებული ჯაშუშური ინტრიგები ვიღაც ქართველი ჯაშუშის წინააღმდეგ, სინამდვილეში კი კერძო მეწარმის მამუკა მაისურაძის წინააღმდეგ, რუსეთის მხრიდან შეიძლება შევაფასოთ, როგორც კრემლის მიზანდასახული მოქმედების მცდელობა, კიდევ უფრო დაშორდეს საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებში.*

*„ჯორჯია ონლაინი“ გვთავაზობს ექსკლუზიურ ინტერვიუს მამუკა მაისურაძესთან.*

## მამუკა მაისურაძე:

# ბიზნესი თავხედურად წამართვეს

**– როგორ ფიქრობთ, რა გახდა თქვენი დაკავების მიზეზი?**

– თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის ჩემი პირველი დაკავება. პირველად რუსეთის სპეცსამსახურებმა დამაკავეს ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში. მაშინ, თუმცა ჩემდამი ინტერესი არ გამოუვლენიათ. აინტერესებდათ ჩემი საქმეები... 2007 წლიდან მე ხომ სოჭში ვიმყოფებოდი და მქონდა ჩემი პატარა ბიზნესი. შეიძლება ითქვას, რომ ამ „საუბარს“ ჰქონდა გაცნობითი ხასიათი და მალე გამიშვეს. ამის შემდეგ მშვიდად განვაგრძე ჩემი ბიზნესსაქმე და არავინ მაწუხებდა მიმდინარე წლის თებერვლამდე. თებერვლის დასაწყისში დაირეკა ზარი და უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა მთხოვეს შევხვედროდი მათ ქალაქის ფარგლებში. რასაკვირველია, ამ ზარმა გაოცება გამოიწვია. რატომ დაინტერესდა ასეთი სამსახური ადამიანით, რომელიც კანონიერად ეწევა თავის ბიზნესს? ქალაქში შეხვედრის შემდეგ ჩამსვეს მანქანაში, რომელსაც დაბურული ფანჯრები ჰქონდა და წამიყვანეს ჩემთვის უცნობი მიმართულებით. შენობა, სადაც მიმიყვანეს, გამოიყურებოდა, როგორც პანსიონატი, მაგრამ საკითხმა – რა საჭირო იყო კაცის მიყვანა თვალახვეული პანსიონატში – შემაშფოთა საკმაოდ. გამიგეთ კარგად, ასეთი მგზავრობა უშიშროების ფედერალურ სამსახურის კამპანიასთან ნებისმიერი მოკვდავისთვის მეტად არასასიამოვნო შეგრძნებაა, მით უმეტეს, როდესაც ყოველივე მომხდარის მიზეზი მან არ იცის. ხომ შეიძლებოდა ეწარმოებინათ საუბარი, ან თუნდაც დაკითხვა, როგორც გინდათ ისე დაარქვით, მოეწყოთ ამ სამსახურის რომელიმე თანამშრომლის კაბინეტში?




**– დაკითხვების დროს იყენებდნენ თქვენზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდებს?**

– ფიზიკურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით – არ ვიქნებოდი გულწრფელი, თუ ვიტყვი, რომ მცემდნენ... რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, რასაკვირველია, მას იყენებდნენ. ჩემი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო პანსიონატში ბრმად მიყვანით, ალბათ, იყო ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაო ჩემთან მუშაობისთვის.

**– შპიონაჟის ინკრიმინაცია სოჭში ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ დაზვერვითი ინფორმაციის შეკრების მიზნით გამოიყურება, რბილად რომ ვთქვათ, არაპროფესიულად. ასეთ ინფორმაციებს აქვეყნებენ თვად რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.**

– ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელიც ეწევა მცირე ბიზნესს, ჯაშუშობის ბრალდების წაყენება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დასაწყისში ისტერიკა დამემართა და არ ვიცოდი, თუ რა უნდა მეთქვა. კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა იყო ის, რომ ბრალი დამდეს ოლიმპიური ობიექტის მშენებლობის მსვლელობაზე ინფორმაციის შეკრებაში. სასაცილოა პირდაპირ... ნებისმიერ სოჭელს შეიძლება შეეკითხო, თუ რა ხდება ამ მშენებლობაზე და იგი სიამოვნებით ყველაფერს გიამბობთ. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი თავად წერენ ყველაფრის შესახებ – ვინ რამდენი მიითვისა, ვინ გაასახლეს ძალით საკუთარი სახლიდან ან საავარაკო მონაკვეთიდან... ერთი სიტყვით, აქ დასაზვერი არც არაფერია, იჯექი კომპიუტერთან და ამოკრიფე რა სახის ინფორმაციაც გსურს.

მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ყველაფერი ეს იყო მხოლოდ პრელუდია... შემდეგ დაიწყეს ჩემთვის ბრალდებების წაყენება ტერორისტებისთვის და უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისთვის ხელშეწყობაში...

შემდეგ გაირკვა, რომ მათ ჩემს წინააღმდეგ არაფერი საბაბი არ ჰქონიათ და რამდენიმე დღის შემდეგ გამიშვეს...

**– გაურკვეველია კიდევ ერთი მომენტი... თუ რუსეთის სპეცსამსახურებმა თქვენს შესახებ ბევრი რამ იცოდნენ, როგორც თავად წერენ, მაშინ, როგორ მოხდა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში თავისუფლად დასეირნობდით რუსეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით თქვენი დაკავების შემდეგ? თქვენ ხომ თითქმის ორი თვე იმყოფებოდით სოჭში?**

– აქ საერთოდ სიტუაცია გაურკვეველია. რუსეთში ჩამოვედი 2007 წელს სავსებით ლეგალურად, გავიარე შესაბამისი სასაზღვრო და საბაჟო გასინჯვები. მე თუ ასეთი კაცი ვიყავი, როგორიც სურთ წარმომაჩინონ რუსეთის სპეცსამსახურებმა, მაშინ ჩემი მონაცემები უნდა ყოფილიყო მესაზღვრეების მონაცემთა ბაზაში, რომლებსაც, თავის მხრივ, უნდა დავეკავებინე პირდაპირ საზღვარზე. უფრო მეტიც, მე უკვე ვთქვი კიდეც, რომ პირველად დამკითხეს 2008 წელს და გამიშვეს. უკანასკნელი დაკავების შემდეგ, ესე იგი 2009 წლის თებერვალში, ასევე გამიშვეს და კიდევ ორი თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი სოჭში, თავისუფლად ვაკეთებდი ჩემს საქმეს. და ყოველივე ამის შემდეგ ჩემთვის გაურკვეველია მომხდარის აზრი...

**– სიტუაციის შესაბამისად თქვენ სოჭში დაგრჩათ ბიზნესი უმეთვალყურეოდ, სადაც დაბრუნება უკვე, ალბათ, საშიშიც კია. როგორი იქნება თქვენი მომავალი გეგმები?**

– ჩემი მომავალი გეგმების შესახებ ჯერჯერობით რაიმეს თქმა ძნელია. ამჟამად მე გავდივარ კონსულტაციებს იურისტებთან. საქმე მხოლოდ ბიზნესს როდი შეეხება. მე პრაქტიკულად ვარ ინვესტორი რუსეთში, მართალია არა დიდი, მაგრამ ხომ მაინც ფაქტია, რომ რუსეთში დავაბანდე საკუთარი ფული, სადაც შევქმენი დაახლოებით ათი სამუშაო ადგილი – მივეცი სამუშაო რუსეთის მოქალაქეებს, ვიხდიდი გადასახადებს, არ ვარღვევდი კანონს, მქონდა მანქანა... ახლა კი ყოველივე ეს პრაქტიკულად წამართვეს თავხედურად... მე ვაპირებ შევიტანო საჩივარი სტრასბურგის სასამართლოში მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებისთვის, რომელიც განვიცადე დაკითხვის დროს, ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, რის გამოც ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონს... ვის წინააღმდეგ იქნება სარჩელი – რუსეთის წინააღმდეგ თუ უშიშროების ფედერალური სამსახურის წინაშე კონკრეტულად – ჯერჯერობით არ ვიცი... ეს გადაწყდება იურისტებთან კონსულტაციის დამთავრების შემდეგ.

Грузия

◉ რუსული პრესიდან

# ჩინეთის დიდი ნახტომი

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ყოველწლიური მოხსენება „სიტუაციის შესახებ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით – 2008“, რომელშიც არის ბრალდება მსოფლიოს 190-ზე მეტი ქვეყნისა და რეგიონის მიმართ, მათ შორის ჩინეთის მისამართითაც. დაუყოვნებლივი იყო ჩინეთის რეაქცია.** უკვე მეორე დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესკანცელარიამ გამოაქვეყნა შესაბამისი მასალა სიტუაციის შესახებ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ჩაინა დეილიში“ დოკუმენტი დაიბეჭდა სათაურით „შეერთებულო შტატებო, დაამყარეთ წესრიგი საკუთარ სახლში“.

ჩინეთი არ იმართლებს თავს, არ ედავება, იგი, როგორც ღირსეული მოწინააღმდეგე, იქვე იყენებს საპასუხო დარტყმას. ოფიციალური ჩინეთის დასკვნა მეტად მჭევრმეტყველურია: „დროა, შეერთებულმა შტატებმა ბოლო მოუღოს სხვებისთვის ქვის სროლის პრაქტიკას, სანამ თავად შუშის სახლში ცხოვრობს“.

მაგრამ, მგონი, ამგვარი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დღეს სულ უფრო ფორმალური ხდება. ყოველ შემთხვევაში ამერიკის ახალი ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს, რომელიც ჩინეთში იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენების გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სიტყვაც არ დასცდენია ჩინეთში ადამიანთა უფლებების დარღვევის, ტიბეტის შესახებ. პირიქით, პეკინს აცნობა, დავივიწყოთ ყველა წინანდელი საყვედურებიო. მახსოვს, ჰილარი კლინტონს სულ ახლახან „ტიბეტის პრობლემები“ აღელვებდა ისე, რომ ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს მოუწოდებდა, გამოეცხადებინათ ბოიკოტი პეკინის ოლიმპიადისთვის. როგორ არ უნდა იწამო ადამიანმა, რომ დიდი პოლიტიკა – ესაა უაღრესად საგანგებო და არაუანგარო საქმე.

ამერიკის ეკონომიკა ხომ სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ჩინეთზე. უჩინეთოდ შეერთებული შტატები ძნელად რომ გამოვიდეს კრიზისიდან, რომელშიც ახლა იმყოფება. ჩინეთი აკრედიტებს არსებითად, ამერიკის ეკონომიკას, ის არის ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს 500 მილიარდი დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდებისა და უდიდესი ამერიკული კომპანიების ამდენივე ოდენობის აქციების მფლობელი. ასეთი ვალის დროს რა პრეტენზიებზე შეიძლება ლაპარაკი? არ დაინახო, როგორც ამას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აკეთებს, უტყუარი პროგრესი ჩინეთში ადამიანის უფლებების დაცვის დარგში, ნიშნავს იყო უკიდურესად ტენდენციური.

უკანასკნელ წლებში რიგითი ჩინელის ცხოვრება თვალდათვალ იცვლება. აი, რამდენიმე მჭევრმეტყველური ფაქტი. ჩინეთის ნებისმიერ მოქალაქეს დღეს აქვს თავისუფლად გადაადგილების უფლება. 14 დღის განმავლობაში მას შეუძლია მხოლოდ საკუთარი განცხადების საფუძველზე მიიღოს უცხოეთის პასპორტი 10 წლით და გაემგზავროს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ჩინოვნიკური მავთულხლართებისა და გამოძალვის გარეშე მას შეუძლია 3-5 დღის განმავლობაში რეგისტრაციაში გაატაროს თავისი ბიზნესი, გადაწყვიტოს მისი წარმოების ნებისმიერი საკითხი. „ერთი სარკმლის“ პრინციპი, რის დანერგვასაც ასე ცდილობენ რუსეთში, დიდი ხანია არსებობს ჩინეთში.

აქტიურად მუშაობენ სოციალური პროგრამები – ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ადგილი, დაზღვეული მედიცინა, სავალდებულო განათლება. განუხრელად იზრდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. გაოცებს იმ ღონისძიებათა პაკეტი, რომელიც ამას წინათ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაძლევისთვის, რამაც არ შეიძლება არ მიაღწიოს ჩინეთამდეც.

ჩინეთის ხელისუფლების პოლიტიკა მიზნად ისახავს, პირველ რიგში, საშინაო სამომხმარებლო მოთხოვნილების სტიმულირებას. ეს კი ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის ძირეულ ტრანსფორმაციას. უპირატესად საექსპორტოდ ორიენტირებული ჩინეთის ეკონომიკა (ქვეყნის მთლიანი საშინაო პროდუქტის 38 პროცენტი) შემობრუნდა ადამიანისკენ. ორ წელზე გათვლილი პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება დაახლოებით 600 მილიარდი დოლარით. მასში ჩართულია სოციალური საჭიროებისთვის – ჯანმრთელობის დაცვისთვის, ხელმისაწვდომი საცხოვრებლისთვის, განათლებისთვის... მრავალგზის გაზრდილი ხარჯები.

ანტიკრიზისული ღონისძიებები მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, როგორიცაა საავტომობილო და სარკინიგზო ქსელი, ინვესტიციების გაფართოება, აგრეთვე სატელეკომუნიკაციო ქსელი და ეს ანტიკრიზისული პროგრამის მხოლოდ ნაწილია.

რა ურთიერთობა აქვს ყოველივე ამას „ადამიანის უფლებებთან“? ვფიქრობ, ყველაზე უშუალო. აი, დღევანდელი ჩინეთის პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი – ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის განუხრელი ზრდა. მარტო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მისი მაჩვენებელი 1,5 წლით გაიზარდა. რეფორმების დაწყებიდან კი, ანუ 1978 წლიდან – 7 წლით. ამჟამად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა აქ 73 წელია, ხოლო პეკინსა და ზოგიერთ დიდ ქალაქში – 80-ზე მეტი.

ჩინეთს დღეს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია იმ პირთა რაოდენობის მიხედვით (მილიონზე მეტი ადამიანი), ვინც უცხოეთში – ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, ევროპაში მიიღო განათლება. მათგან ერთი მესამედი უკვე დაბრუნდა ჩინეთში. და ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. რა არის ეს? პოლიტიკური „თავისუფლებების“ სამყაროდან პოლიტიკური „მონობის“ სამყაროში ნებაყოფლობითი დაბრუნება? დაგვეთანხმეთ, ასეთი რამ არ ხდება.

**სვეტლანა სელივანოვა**

Литературная газета

## დედამიწის ზურგზე



**გამოძიების ფედერალური ბიუროს შტაბ-ბინაში ობამას სიტყვის დროს ერთ-ერთი აგენტი ცუდად გახდა**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა პირველმა შეამჩნია ეს და ითხოვა გაეწიათ მისთვის სასწრაფო დახმარება. შემდეგ კი მისთვის დამახასიათებელი იუმორით აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანიის დროს ასეთი ინციდენტები საკმაოდ ხშირად ხდებოდა, ვინაიდან ყველას არ შეეძლო გაეძლო მისი გრძელი სიტყვებისთვის.

* * *

**ისრაელი აღნიშნავს სახელმწიფოს შექმნის 61-ე და თელ-ავივის 100 წლისთავს**

დღესასწაული დაიწყო იერუსალიმში ჰერცლის მთაზე 12 ჩირაღდნის ანთებით. 29 აპრილს ქვეყანაში მოეწყობა პატრიოტული სვლები, პარაშუტისტები მოაწყობენ სადღესასწაულო შოუს, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალების გემები საზეიმოდ ჩაივლიან სანაპიროს გასწვრივ. ისრაელელების უმრავლესობა ამ დღეს აღნიშნავს ქალაქგარეთ პიკნიკებზე.

* * *

**ტეოტიუაკანას ცნობილი პირამიდები მეხიკოს მახლობლად დაიკეტა ღორის გრიპის გამო**



ამრიგად, ტურისტებს აღარაფერი აქვთ სანახავი მექსიკის დედაქალაქში, სადაც უკვე მეხუთე დღეა მოქმედებს მკაცრი ანტიეპიდემიური ზომები, რომლებიც დაკავშირებულია „ღორის გრიპის“ აფეთქებასთან. მეხიკოში დაიკეტა ყველა მუზეუმი, საგამოფენო და საკონცერტო დარბაზი, სტადიონები, ბიბლიოთეკები. რესტორნები მუშაობენ მხოლოდ „გამოტანაზე“ ან სახლში მიტანაზე.

* * *

**ავტობუსი ფრანგი ტურისტებით გადაბრუნდა კალიფორნიაში: დაიღუპა 10 ადამიანი**

იტყობინებიან ათობით დაჭრილის შესახებაც. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა რკინიგზის თავზე გამავალ ხიდზე. რამდენიმე ადამიანი გადმოვარდა ავტობუსიდან და დაეცა გზატკეცილზე და სარკინიგზო ხაზზე ხიდის ქვეშ. ავარიის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

* * *

**ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა ტუალეტების კონკურსი: ყველაზე სანიმუშო მამაკაცის ტუალეტი არის სასტუმრო „ერმიტაჟში“**

ტუალეტის კედლებს, რომლებიც ამოყვანილია „არტ-დეკოს“ სტილში, ფარავს მინის მოზაიკიანი ფილები, იატაკს – ტერაცო (მარმარილოს ხრეში შერეული ცემენტის ხსნართან). ყოველივე ეს სისუფთავით მოკაშკაშე უნიტაზებთან, პირსაბანებთან და სარკეებთან ერთად შესრულებულია შავ-მწვანე გამაში.



# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისგან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ თავისი წესდების შესაბამისად მიმდინარე წლის 28 აპრილის საერთო კრების სხდომაზე ფარული კენჭისყრით აირჩია აკადემიის წევრ-კორესპონდენტები შემდეგ სპეციალობებში:

| | |
|---|---|
| მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება | |
| ხარაზიშვილი ალექსანდრე | – მათემატიკა |
| [illegible] ალექსანდრე | – ფიზიკა |
| დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება | |
| მაისაძე ფერიდონ | – გეოლოგია |
| კაკაბაძე მიხეილ | – გეოლოგია |
| [illegible] | – გეოგრაფია |
| გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება | |
| [illegible] | – გამოყენებითი მექანიკა, მანქანათმშენებლობა, ტექნიკის ისტორია |
| [illegible] | – სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნოლოგია და ორგანიზაცია, ნაგებობისა და გზების ტექნოლოგიები, მართვის სისტემები |
| ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება | |
| [illegible] | – ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები |
| [illegible] | – ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები |
| ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება | |
| [illegible] | – [illegible] |
| [illegible] | – მცენარეთა ბიოლოგია (მოლეკულური ბიოლოგია, [illegible], ციტოლოგია, ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია) |
| ლორთქიფანიძე დავით | – პალეოანთროპოლოგია |
| ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება | |
| [illegible] | – ფიზიოლოგია |
| [illegible] | – [illegible] |
| [illegible] | – [illegible] |
| [illegible] | – [illegible] |
| სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება | |
| [illegible] | – [illegible] |
| საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება | |
| [illegible] | – საქართველოს და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ქართული ხელოვნების ისტორია |
| [illegible] | – საქართველოს და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ქართული ხელოვნების ისტორია |
| [illegible] | – ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები |
| ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება | |
| [illegible] | – ქართული ენა, ქართველური ენათმეცნიერება |
| [illegible] | – [illegible] |
| [illegible] | – [illegible] |
| [illegible] | – [illegible] |
| [illegible] | – აღმოსავლური ენები, აღმოსავლური [illegible] |

**ლექსის ტრფიალი**

# რაც გულმა მათქმევინა...



*დავიბადე 1940 წელს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში – კახეთში, ქ.გურჯაანში, ნინა და გერმანე ქაჩლიშვილების ღარიბულ გლეხურ ოჯახში.*

*ჩემი ცხოვრების გზა მეტ-ნაკლებად რთულად წარიმართა, მამით ადრე დავობლდი, რამაც ჩემს ყოფას დაღი დაასვა. ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, ფილოლოგი გამხდარიყავი, მაგრამ ცხოვრებამ ხელი არ შემიწყო. ასე იყო თუ ისე, გავხდი მშენებელი ინჟინერი და ვიმუშავე წლების მანძილზე სხვადასხვა თანამდებობაზე. ახალგაზრდობიდანვე გატაცებული ვიყავი ქართული და უცხოური პოეზიით და შემდეგ მეც ვცდილობდი რამენაირად გამომეხატა ჩემი სათქმელი ლექსით.*

*ვარ საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი.*

*გივი ქაჩლიშვილი*

## რად მინდა

რისთვისღა მინდა ცხოვრება?
რასა ვიქმ თვალთა ხედვითა,
თუ ჩემს ქვეყანას არ ვარგე,
ამ თვალთ დავითხრი ხელითა.

და ვივლი თვალებდათხრილი,
ყველამ გაიგოს, იცოდეს,
ქვეყნისთვის უქნარა კაცი
სირცხვილის ცეცხლში იწვოდეს.

და მე არ მინდა, არ მინდა,
ამქვეყნად ყოფნა ამგვარი,
ცხოვრება გვშვენის გმირული,
არა გვჩვევია მსხვაგვარი.

ქვეყანას არვის გავუყოფ,
არც გავხდი მტერთა ზიარად,
რადგან ძვირფასი საუნჯე
სხვა არა მაბადია რა.

სამშობლოვ, შენზედ ვლოცულობ,
ჩემი სიცოცხლეც შენია,
შენი მიწის და მზის მადლი
ჩემს სულში ჩამიფენია.

ყველაფერს გულში ჩავიკლავ –
სიდუხჭირეს და ვაებას,
ოღონდ შენ იყავ დღეგრძელი,
შენ ერთს გიყურებ ღვთაებას.

## ის მხვდა წილად

არ მინდოდა, გული მართლა
მე ვინმესთვის მეტკინა,
თუმცა მე კი ცხოვრებაში
ბევრი რამე მეწყინა.
ეს ცხოვრება მოწყობილი
თურმე ასე ყოფილა,
ყველას თავის წილი ერგო,
ვინც კი ქვეყნად შობილა.
ზოგს ავი და ზოგსაც კარგი
ღმერთმა ასე არგუნა,
ზოგი ცაში აიყვანა,
ზოგიც მწარედ დათრგუნა.
ერთი კია, რაც გარდამხდა,
ყველა ჩემი თავითა;
ამ ცხოვრებას, რომ შემეძლოს,
დავიწყებდი თავიდან.

## იარე, სწორი გზით იარე

იარე, სწორი გზით იარე,
არ უღალატო რწმენას.
არასდროს არ ამჯობინო
სხვის უკეთესი შენსას,
იმას გაუფრთხილდი, რაც გაქვს,
წყალს ნუ გაატან ძველსა,
ცოტა ინდომე ალალი,
ნუ მოინდომებ ბევრსა.
სხვის ქონებაზე აროდეს
არ წაგივიდეს თვალი,
იცოდე, არ გაიმრუდო
ცხოვრების გზა და კვალი.
კაცი ფიქრისთვის გაჩნდა,
ფიქრში იპოვი კვალსა...
და შენი წინაპარივით
კაცურ მოიხდი ვალსა.

## სიბერე შემომეპარა

სიბერე შემომეპარა,
წლებიც ბევრი გავლიე...
ქართული ვაზის მოყვარემ
ღვინოც ზომაზედ დავლიე.
მიყვარდა ძმა-მეგობარი,
ბიჭები ჩემი ჯიშისა,
ჩემი სისხლის და ხორცისა,
უიმათობა მიჭირსა.
რა ვქნა, რომ წლები გავიდა,
გულში გამიჩნდა ბზარია,
ახლა ვარ იმის ლოდინში
როდის ჩამოჰკრავს ზარია.
თუმცა კი ბევრი ვიტანჯე,
სულ არა ვნანობ მაინც...
ტკბილი ყოფილა სიცოცხლე,
არ მკითხა, ისე გამექცა.

## ორივ ტკბილია

მაინც რომელი ვარჩიო,
რომელს ვცე ჩემი თაყვანი,
დედაც ერთი მყავს, სამშობლოც,
ვინც დამირჩია აკვანი.
მრავალი წელი გავლიე
ორივეს გულით ვატარებ,
ორივ ტკბილია თაფლსავით,
ორთავეს ღმერთსა ვადარებ.

## რაც მტრობამ დაგვინგრია...

ჩემთვის უპირველესია
სიყვარული ქვეყნის,
სუყველაფერს მივცემ,
არ ვინდომებ ჩემთვის.
მსურს, ღრუბლები გადავყარო,
შევარყიო მთები,
ყველას სულთან მივიტანო
სიყვარულის ხმები.
იქნებ ქართველთ გულები
ერთად დგომით გათბეს,
და ზმანება ოცნებების
მართლაც ცხადში ახდეს.
დროა ყველამ ერთად
მტრობას თავი ვანებოთ,
რაც მტრობამ დაგვინგრია,
სიყვარულით ვაშენოთ.

გივი ქაჩლიშვილი.
26/IV.09 წ.

## განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს კონკურსს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

1. გამგებლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2500 ლარს.

2. კონკურსის მონაწილე უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის (ან მეტი) ასაკის.

3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ავტობიოგრაფია;

ბ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;

გ) უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;

4. განცხადებები მიიღება 14 მაისის ჩათვლით მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემდეგ მისამართზე:

ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73

10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 51 26 77.

ღია წერილი

# ვინ დასცა ასე მუხანათურად ბეჭებზე სპორტის აკადემია...

## კანონშეუსაბამოდ გაუქმებულს აღვუდგინოთ სამართლებრივი სტატუსი

(მეოთხე გვერდიდან)

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს უფლება აქვთ, მოახდინონ საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია, დააყენოს ამ პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი“.

ვინაიდან რეორგანიზაციის მომენტისათვის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სპორტის აკადემიას – საქმიანობის პროფილი, რა თქმა უნდა, შეცვლილი არ ჰქონდა და ის ფუნქციონირებდა როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის დადასტურებაც გახლავთ 2007-2008 სასწავლო წლისათვის სპორტის აკადემიისათვის 500 ადგილის გამოყოფა და ეროვნული გამოცდების შედეგად ყველა ვაკანტური ადგილი I პირველკურსელებისათვის შეივსო. ცხადია, რომ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო რეორგანიზაციის მოთხოვნით კანონის ამ პუნქტსაც ვერანაირად ვერ დაეყრდნობოდა. და აშკარად გამოიკვეთა, რომ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ისე დააყენა მთავრობის სხდომაზე სპორტის აკადემიის რეორგანიზაციის თაობაზე წარდგინება, რომ არ ჰქონდა გამოკვეთილი რეორგანიზაციის სამართლებრივი საფუძვლები.

3. ამ საქმეში ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ მთავრობის სხდომაზე მოიწონეს კულტურის მინისტრის მიერ წარდგენილი რეორგანიზაციის დადგენილების პროექტი და ერთსულოვნად ისე დაუჭირეს მხარი მას, რომ ერთი კითხვაც კი არ გასჩენია არავის. ვინაიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციისათვის კანონით დადგენილი არც ერთი მოთხოვნა არ არსებობდა საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება.

საქართველოს მთავრობამ აქტის გამოცემის დროს არ გამოიკვლია და არ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

აი, ბატონებო, იმ კანონთა ნუსხა, რომელთა იგნორირებითაც მოხდა სპორტის აკადემიის გაუქმება. აკადემიისა, რომელსაც დაარსებიდან 71 წელი უსრულდება, აკადემიისა, რომელმაც 20 ათასზე მეტი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი მოამზადა, ხოლო მის კურსდამთავრებულებს ოლიმპიური ჩემპიონის 20 ოქროს მედალი აქვთ მოპოვებული, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონთა რიცხვი კი 300-ს აჭარბებს.

ჩინოვნიკების ახირების გამო 2007 წლის 11 ივლისიდან არსებობა შეწყვიტა უმაღლესმა სასწავლებელმა და უფუნქციოდ დარჩა ასამდე მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, ორმოცდაათამდე სპორტის დამსახურებული მწვრთნელი და მუშაკი. და ეს ყველაფერი იმ ცრურეფორმატორების ბარბაროსული აქციით მოხდა, რომელთა გონებაც უცოდინრობით და არაპროფესიონალიზმით არის გაჟღენთილი.



იციან კი სპორტის აკადემიის გაუქმების სულისჩამდგმელებმა, რას წარმოადგენს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია? ეტყობა, მათ ეს უმაღლესი სასწავლებელი რაღაც სავარჯიშო გაერთიანებად წარმოუდგენიათ. არ იციან, რომ იგი არის უმაღლესი დონის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, სადაც მიმდინარეობდა კვლევები სპორტის პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, მოძრაობის ბიომექანიკასა და სპორტის თეორიაში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიაში? იციან, რომ სპორტის აკადემია იყო ერთ-ერთი მოწინავე უმაღლესი სასწავლებელი ყოფილ საბჭოთა კავშირში და მის დიპლომს დღესაც აღიარებენ მთელ მსოფლიოში, რომ ჩვენს აკადემიას, როგორც ერთ-ერთ წარმატებულ უმაღლეს სასწავლებელს, ჰქონდა სადისერტაციო საბჭო და წლების მანძილზე ის იყო ერთადერთი მთელს კავკასიასა და შუა აზიაში? გაგონილი აქვთ, რომ სპორტის აკადემიის ანატომიის კათედრის გამგის, პროფესორ გიორგი თვალაძის მიერ შედგენილი ანატომიის ატლასი დღესაც სამაგიდო წიგნია ქართველი (და არა მარტო ქართველი) მედიკოსებისათვის? გაგონილი აქვთ, რომ პროფესორი ვლადიმერ ნორაკიძე ითვლება სპორტის ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად მსოფლიოში, რომ ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ მუშაობდა საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი, აკადემიკოსი სერგი ნარიკაშვილი, რომ ლევან ჩხაიძე ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მსოფლიოს პირველი კოსმონავტის იური გაგარინის მომზადებაში? იციან, რომ სპორტის აკადემიის დიპლომებით ამაყობდნენ და ამაყობენ ისეთი უმაღლესი რანგის მწვრთნელები და სპორტსმენები, როგორებიც იყვნენ და არიან ბორის პაიჭაძე და გივი კარტოზია, ნინო დუმბაძე და მზია ჯუღელი, რობერტ შავლაყაძე და ლევან თედიაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი და ნოდარ ახალკაცი, ვიქტორ სანეევი და ლერი ხაბელოვი, ნინო სალუქვაძე და შოთა ხაბარელი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი? იციან, რომ ჩვენი აკადემიის კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 100-მდე ქვეყანაში, რომ პოლონეთის თანამედროვე ხუთჭიდელთა უფროსი მწვრთნელია თემურ ბალაკარი, ირლანდიის მოკრივეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია თამაზ ანთია, ბრაზილიის სან-პაულოს უნივერსიტეტის პროფესორია გოჩა ალადაშვილი, კვიპროსში ერთ-ერთი წარმატებული მწვრთნელია თემურ ქეცბაია და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი?

არა, ბატონებო! ეს ყველაფერი მათ არ იციან და თუ იციან, არაფრად აგდებენ. ცრურეფორმატორების სურვილი ხომ განსხვავებულია ყოველივე ამქვეყნიურობისაგან.

ამრიგად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას ჰქონდა ყველა მონაცემი, რათა მას გაეგრძელებინა ფუნქციონირება როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს და მოგმართავთ თქვენ, გაითვალისწინოთ ჩვენი და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა“ პირველი ნაწილის მოთხოვნა და შესაბამისად ბათილად ცნოთ მთავრობის 2007 წლის 11 ივლისის დადგენილება, როგორც კანონშეუსაბამო და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას აღუდგინოთ რეორგანიზაციამდე არსებული სამართლებრივი სტატუსი!

პატივისცემით,
**გურამ ძაგანია,**
პროფესორი.



ფეხბურთი

## რომი – „არისტოკრატთა“ ქალაქი?

**დიახ, ყველა გზა რომში მიდის და არა ყველას გზა. ამ შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური რაუნდის შედეგს ვგულისხმობთ, რომელმაც იტალიის დედაქალაქში დანიშნული გადამწყვეტი შეხვედრისკენ „ჩელსის“ მარშრუტი საგრძნობლად შეამოკლა.**

**„ბარსელონა“ – „ჩელსი“ 0:0**

ამ კლუბების გზა უკანასკნელ წლებში მეოთხედ გადაიკვეთა. განვლილ ორმატჩიან დუელებში „არისტოკრატებმა“ მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას, თუმცა ლიგის მოგება დღემდე ვერ მოახერხეს.

რაც შეეხება კატალონიურ გრანდს, 2006 წლის ტრიუმფის შემდეგ იგი ტურნირს ჯერ „ლივერპულმა“ ჩამოაშორა, ხოლო შარშან – „მანჩესტერმა“. ნუთუ, ამჯერადაც ინგლისელები?

„კამპ ნოუზე“ გამართული ჯახის საგულისხმო ფაქტითაცაა აღსანიშნავი: ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა, რომელმაც პრიმერადივიზიონის 33 ტურში მეტოქეთა კარში 94 (!) გოლი გაიტანა, მიმდინარე სეზონში საკუთარი სარბიელი პირველად დატოვა „მშრალად“.

მაინც, როგორ შეძლეს ეს სტუმრებმა? საიდუმლო არავისთვისაა, რომ მესისთან, ინიესტასთან, ხავისთან, ანრისთან და ეტოოსთან ტემპიან ორმხრივ იერიშებში აყოლა თვითმკვლელობის ტოლფასია. ჰოდა, აიღა „სტემფორდ ბრიჯის“ ბინადართა თავკაცი, შემტევი ფეხბურთის აპოლოგეტად აღიარებული ჰოლანდიელი სპეციალისტი გუუს ჰიდინკი, ძირითად შემადგენლობაში ადგილი ერთბაშად ხუთ, მათ შორის ორ – საყრდენ ნახევარმცველს გამოუძებნა, რითაც მასპინძელთა მრისხანე შუახაზი და თავდასხმა, რომ იტყვიან, მოგუდა. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური ტაქტიკით დასცა ესპანელები შარშან ჰიდინკის კოლეგამ სერ ალექს ფერგიუსონმა, რასაც მოგვიანებით მანჩესტერელთა მიერ ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში გამარჯვება მოჰყვა. ხომ გსმენიათ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო ან მიზანი ამართლებს საშუალებასო. ჰოდა, მოდით, მკაცრად ნუ განვსჯით პრაგმატიზმისთვის დიდ მწვრთნელებს.

როგორ განვითარდება მოვლენები 6 მაისს ლონდონში? ალბათ, იქაც მძაფრი შერკინება გველის, თუმცა იმის პროგნოზირება კი შეგვიძლია, რომ „ბარსას“ ძნელად გადასაჭრელ პრობლემებს შეუქმნის დისკვალიფიცირებული პუიოლისა და ტრავმირებული მარკესის არყოფნა. ხოლო მანამდე 3 მაისს მადრიდში სუპერკლასიკოა დანიშნული: „რეალი“ – „ბარსელონა“!

**გია პლატონიშვილი**

ცურვა

## ტრიუმფს ექვსი წელი დასჭირდა

**სწორედ რომ ექვსი წელი გავიდა, რაც რუს მოცურავეებს 50 მეტრიან აუზში მსოფლიო რეკორდი აღარ დაუმყარებიათ. ამიტომაც სპეციალისტებისა და გულშემატკივრების ნამდვილი აღფრთოვანება გამოიწვია მოსკოვში რუსეთის ღია ჩემპიონატზე ევროპის მრავალგზის ჩემპიონების ანასტასია ზუევასა და იულია ეფიმოვას მსოფლიო რეკორდებმა.**

თავისებური გამოწვევა იყო ვალენტინა არტემეევას ევროპის რეკორდი ბრასით 50 მეტრზე – 30,32, რაც 0,01 წამით უარესი იყო მსოფლიო რეკორდზე, თუმცა წინა დღით ეფიმოვამ კონტინენტის უმაღლესი ჯილდო ას მეტრზე ცურვაში მოიპოვა, მაგრამ ვალენტინას ეს გამოწვევა მაინც მიიღო და ნახევარფინალში უკვე მსოფლიო ჩემპიონი გახდა – 30,23.

დასკვნით გაცურვაში კი 17 წლის მოსწავლე ირინა ვიატჩინანსთან ერთად უჩვეულო დრო აჩვენა – 30,05.

დიდი ხნის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა რუსეთელი ანასტასია ზუევა – 50 მეტრზე პირაღმა ცურვაში – 27,48. თუმცა გაიგო, რა, რომ ორგანიზატორებმა ეს წარმატება არ ჩაუთვალეს, რადგან დოპინგ-სინჯი არ ჰქონდა აღებული, ფინალში ძალების მაქსიმუმად დახარჯვით და უფრო უკეთესი დროის ჩვენებით 19 წლის რუსეთელმა ქალიშვილმა ისევ მოიპოვა პლანეტის რეკორდსმენის ტიტული – 27,47.

ინტერნეტიდან

### ქალთა კრივი ოლიმპიადაზე

**პარიზში დამთავრდა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (AIBA) ქალთა კრივის კომისიის სხდომა, რომელმაც მოამზადა რეკომენდაციები სპორტის ამ სახეობის 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანის შესახებ.**

ვარაუდობენ, რომ ოლიმპიადაზე ქალთა კრივი წარმოდგენილი იქნება 51-მდე, 60-მდე და 75 კილოგრამამდე წონით კატეგორიებში.



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) საპროგრამო კომიტეტი ამ წინადადებას განიხილავს თავის სხდომაზე ბერლინში 13 აგვისტოს, საბოლოო გადაწყვეტილებას კი მიიღებს სოკ-ის აღმასკომი წლევანდელ ოქტომბერში.

ასეთი წინადადება ოლიმპიურ კომიტეტში ჯერ კიდევ 2005 წელს შეიტანეს. მაგრამ მაშინ მიიჩნიეს,რ ომ ქალთა კრივი გავრცელებული არ იყო.

თუკი ოლიმპიური კომიტეტი ამჯერად დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ ოლიმპიადისთვის ქალმოკრივეებს შეარჩევენ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც 2010 წლის ოქტომბერში ბარბადოსის კუნძულზე გაიმართება.

### ლამაზმანმა ბერბატოვს თვალი დაადგა

**ტელეშოუს „დომ-2“-ის გმირმა და რუსული პორონოინდუსტრიის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა ელენა ბერკოვამ მრავალგზის აღიარა მსოფლიო დიდების მოხვეჭის სურვილი. დსთ-ს ქვეყნებში მას უკვე იცნობენ, ახლა კი ევროპასაც უნდა გადასწვდეს.**

ბულგარეთში ახმაურდნენ – „მოზრდილთა ფილმების“ რუსეთელმა ვარსკვლავმა აღიარა, რომ უყვარს ფეხბურთში ბულგარეთის ეროვნული ნაკრების კაპიტანი დიმიტარ ბერბატოვი. „სპორტის 7 დღის“ ბულგარულ გამოცემაში ლამაზმანმა მკითხველებს მოუთხრო თავის გატაცებაზე ფეხბურთით და ფეხბურთელებით. აღმოჩნდა, რომ ლენას მოსწონს ინგლისისა და იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატები, ხოლო ბერბატოვის გარდა, რომელიც მის „რეიტინგში“ პირველია, მოხსენიებულნი არიან კაკა, კრიშტიანუ რონალდუ და ფილიპო ინძაგი.



## ფაქტი კომენტარით

# ბუნტის გეშინოდეს, გიგი!

ერთხელაც მიწევს „ალექსანდრეს ბაღზე“ წერა. ასაკოვან უბნელებს აქ ჩვენი „პარლამენტი“, ანუ სალაყბო გვაქვს გამართული ყოველ დილით და, ცხადია, თვალსაც არაფერი გამოეპარება. მაგალითად, ვამჩნევთ, რომ უკვე აღარავინ ასუფთავებს აქაურობას, არადა, მილიონები ჩაყარა მერიამ, ქვები ჩინეთიდან ჩამოიტანა (ვითომ საქართველოში არ იშოვებოდა!), რომ ბაღი „გაექვავებინა“, ახალთახალი ძელსკამები დაედგა, იქაურობა გადაემწვანებინა და, როგორც ამბობენ, გვარიანი ფულიც „მოეტეხა“ მილიონებიდან.

ჰოდა, აღარ ასუფთავებენ!.. ნაგავს მიაქვს იქაურობა, ურნებში ველარ ეტევა, ძირსაა მიმოფენილი და უპატრონო ძაღლები და კატები აქიაქებენ... დავიჯეროთ, ისე გაუჭირდა მერიას, რომ ერთი-ორი დამგველ-დამსუფთავებელი ველარ მიამაგრა ბაღს?!

**კომენტარი:**

**გიორგი შენგელაიას ბრწყინვალე ფილმი „ვერის უბნის მელოდიები“ ხომ გახსოვთ, გიორგი გეგეჭკორის გმირი პოლიცმაისტერთან (დოდო აბაშიძე!) რომ მიდის თხოვნით, მრეცხავი ვარდო გამოუშვი ციხიდან, თორემ ჭუჭყმა და წვირემ შეგვჭამაო...**




**იქ ბუნტით აშინებდნენ პოლიცმაისტერს, დღეს კი თბილისში ნამდვილად ბუნტია და აღარ იცის რა ქნას გიგიმ — არ დაასუფთავებს ოპოზიციონერთა ჯინაზე?.. მით უარესი მისთვის — შეიძლება ბუნტისტებმა ნაგავს გააყოლონ!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, სამკვიდროს გახსნის დღიდან რამდენ დღეში ეძლევათ სამკვიდრო მოწმობა?**

**ოთარ თოფურია**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1500-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მოწმობა ეძლევათ მემკვიდრეებს სამკვიდროს გახსნის დღიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, ნებისმიერ დროს.

* * *

**კითხვა: ვარ 60 წლის, ვმუშაობ საჯარო სამსახურში, შეიძლება დავინიშნო პენსია და მივიღო მუშაობის პერიოდში?**

**მაია კონცელიძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახური ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მასში მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში პენსია არ მოგეცემათ.

* * *

**კითხვა: ვინაიდან დედის სიკვდილის შემდეგ გადავწყვიტე, საზღვარგარეთ წავიდე დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ, შეიძლება, სამკვიდრო მოწმობა დაუყოვნებლივ მომცენ? გაცნობებთ, რომ მამა გარდაცვლილი მყავს, დედას კი ჩემს გარდა შვილი არ ჰყოლია.**

**გიორგი ახვლედიანი**

**პასუხი:** დაუყოვნებლივ არა, მაგრამ 6 თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობის გაცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, მოწმობის მთხოვნელი პირის გარდა, მამკვიდრებელს სხვა მემკვიდრე არ ჰყოლია.

* * *

**კითხვა: ვარ 60 წლის. 10 დღის წინ დამენიშნა პენსია. მინდა ვიმუშაო მაღაზიაში გამყიდვლად. აღნიშნულზე მივიღე მისი მფლობელის ნებართვა. მაინტერესებს, მომეცემა თუ არა პენსია მუშაობის პერიოდში?**

**მორის ბერძენიშვილი**

**პასუხი:** კერძო სტრუქტურაში მუშაობის პერიოდში პენსიის გაცემის შეწყვეტა მოქმედი კანონით არ არის გათვალისწინებული.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

ძმისწული ნანა კანდელაკი, სიძე ილო ბარათაშვილი, ინა და აგო ბარათაშვილები ოჯახებით იუწყებიან
თინა კანდელაკის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „სი-თი კომპანი“ ს/კ 205 176 986 აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ფალიაშვილის 80 ა. ტელ. 22-62-39.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ნაცარმიყრილი წარსულის მეორედ დაბადება

**საქართველო ბევრჯერ მდგარა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, მაგრამ ეროვნული ცნობიერების გადაგვარებისა და ქვეყნის დაშლის ისეთი საშიშროება, როგორიც ახლა შეიქმნა, ბოლო საუკუნეებში, ალბათ, არ ყოფილა, ერის სულიერებას თავისი კოდი აქვს და იგი დღეს, მორალურ-ზნეობრივი დევალვაციის გამო, თანდათან კარგავს ფუნქციას. არადა, ის ყოველთვის იყო ქვეყნის გადარჩენის უმთავრესი ფაქტორი.**

ეროვნული სულისკვეთების აღორძინების, ქართული ფენომენის წარმოჩენის, მდიდარი, თვითმყოფადი ისტორიის კვლევის თვალსაზრისით ნაყოფიერად მოღვაწეობენ სამეცნიერო კერები. მათ შორისაა უძველესი ტრადიციების მქონე

**ორე ტომია, რამეთუ მისი პირველი ტომი — „კოლხეთის ცხოვრება“, დღემდე შესწავლისა და კვლევის საგანია. ქუჯის, აიეტის, გუბაზის, ფარტაზის, წათეს, გიორგი ჭყონდიდელის, ცოტნე დადიანის და სხვა ღირსეულ კოლხთა, გმირ წინაპართა მადლიერი ცოტნეიდელი შთამომავლობა გულწრფელი სიყვარულითა და დამსახურებული სიამაყით საქვეყნოდ აცხადებს, რომ კოლხეთი ერთიანი საქართველოს ძლიერებაა, სამეგრელო მისი ხერხემალია, ისტორიული ფაზისი (ფოთი) კი მისი ზურგის ტვინია. ასე იყო, ასე არის და ღვთის წყალობით ასე იქნება მომავალშიც“.**

ფესვებთან მიახლოების სიამაყე გიპყრობს, როცა ეცნობი კოლხეთის არქეოლოგიური ექ-

ნის გაერთიანების საქმეში სულიერ-პოლიტიკური და სოციალური პარამეტრით, გავლებულია პარალელები დღევანდელობასთან.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი სტატიაში **„ფოთი ღვთის ქალაქია, სადაც ყველა გზა ტაძრისკენ მიდის“,** ფოთს სამყაროს მოდელს ადარებს ორიგინალური დაგეგმარების გამო.

ფარმაცევტიკის დოქტორი სოკრატე სალუქვაძე ამტკიცებს, რომ მედიცინა ეტიმოლოგიურად მედეას სახელს უკავშირდება და რომ კოლხი მედეას გამოსახულება შესაძლებელია მსოფლიო მედიცინის ემბლემა გახდეს. აქვეა მედეას სურათი — „მედეა ვაზით“ კუნის წიგნი-

# საქართველოს ისტორიის საწყისი კოლხეთია, „ქართლის ცხოვრება“ — მისი გაგრძელება

## გამოვიდა ჟურნალ „ცოტნეიდელის“ პირველი ტომი

„ფაზისის“ საერო აკადემია, რომელსაც სათავეში უდგანან მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი ცოტნე მირცხულავა და ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ ნადარაია.

აღსანიშნავია „ფაზისის“ აკადემიის სამეცნიერო საქმიანობა საქართველოს და, კერძოდ, ნაცარმიყრილი კოლხეთის დიდი ისტორიის კვლევის თვალსაზრისით. აკადემიამ დიდი საქმე გააკეთა, როცა გამოსცა ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მეორე ტომი, რომელშიც თავი მოიყარა ფოთსა და თბილისში ჩატარებულმა სამეცნიერო სესიის მასალებმა კოლხეთის წარსულთან დაკავშირებით, სადაც გამოქვეყნდა ქვეყნის წამყვან მეცნიერთა კვლევები, შრომები, საზოგადოებისთვის უცნობი მასალები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიული მემკვიდრეობის აღდგენის თვალსაზრისით.

ახლახან კი გამოიცა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „ცოტნეიდელის“ პირველი ტომი, რომელშიც უპირველესი ადგილი ეთმობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, „ფაზისის“ აკადემიის საპატიო პრეზიდენტის ილია II-ის ღვაწლს ქვეყნის გადარჩენის, ერის სულიერი მისიის აღორძინებისთვის, საქართველოს გაერთიანებისთვის. აქვეა ამონარიდები მისი უწმინდესობის ეპისტოლეებიდან, რაც ერთადერთი ორიენტირია ქვეყნის ღვთიური გზით სიარულისთვის. ჟურნალში საინტერესო მასალებია დაბეჭდილი ერისთვის წამებული სულიერი მამის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. აქვეა დასტამბული მისი წერილი გენუის კონფერენციისადმი.

ისტორიული მეხსიერება მეტად რთული ფენომენია და ძნელი აღსადგენია. მით უფრო, თუ მივიწყების სუდარა ფარავს. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია აკადემიის მოღვაწეობის კრედოს და პოსტულატს თავის ინტერვიუში ასე გამოხატავს:

**„ქართლის ცხოვრება“ — ჩვენი სამშობლოს ისტორიული მატიანე — საქართველოს ისტორიის მე-**




სპედიციის მასალებს, ყულევისა და ერგეტის მიდამოების გათხრების დროს აღმოჩენილ ძვ. წელთა აღრიცხვის უნიკალურ ნივთებს, რაც მიანიშნებს, რომ საქართველოს ისტორიის სათავეებთან კოლხეთია. ამ მხრივ მეტად საინტერესო ნაშრომს გვთავაზობს ანზორ შონია წერილში **„ჩვენი ქვეყნის სახელები: „იბერია“, „კოლხეთი“, „ეგრისი“, „საქართველო“.**

მკვლევარი და მთარგმნელი ნათელა ფოფხაძე ნაშრომში **„კოლხეთი — ფარნავაზის სამეფოს სახელწოდება“** — გვთავაზობს ახლებურ ხედვას, განსაკუთრებით კოლხეთის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. საინტერესო და საყურადღებოა მეცნიერებათა კანდიდატის, მამა ავთანდილ გიორგობიანის წერილი **„ფაზისის“ (რიონის) ხეობა — ქართული სახელმწიფოებრიობის ასაკის ათვლის წერტილი“.**

ჟურნალში ვრცელი წერილებია ცოტნე დადიანის გმირობაზე, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ერთობლივ მოღვაწეობაზე. განსაკუთრებით გამოკვეთილია სახელმწიფოს, მართლმადიდებლური ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემები, ეკლესიის როლი ქვეყ-

დან (ძვ.წ. V საუკუნისძ და სხვა უნიკალური მასალები.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ნარკვევში **„ლევან II დადიანი — ხელმწიფე ივერიისა“** გვთავაზობს ბევრ ახალ დოკუმენტს ლევან დადიანის ღვაწლზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის.

ჟურნალში განთავსებულია ცოტნე დადიანის ხატის სურათი, რომელიც აკადემიამ დააბრძანა სვეტიცხოველში მისი წმინდანად შერაცხვის შემდეგ, აქვეა საქართველოს სახელოვან ადამიანთა იუბილეზე ჩატანილი მისალოცი სიტყვები და უნიკალური არგოს მაკეტები. ჟურნალში პირველად ქვეყნდება კოლხეთის ღვთისმშობლის ხატი. ჟურნალს ამშვენებს ცნობილი მხატვრის გიორგი გეგეჭკორის ნახატები: „ცოტნე“, „ჭყონდიდელი“, „დავითი“, „ფარნავაზი“, „ქუჯი“... საინტერესოა სხვა ავტორთა წერილები, ლექსები, პოემები.

საქართველოს წარსული, დედაისტორია ეროვნული ინტერესების სამსახურში — ესაა აკადემიის მიზანი და ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონ ნუგზარ ნადარაიას — „ცოტნეიდელის“ გამომცემელ რედაქტორს (აღსანიშნავია, რომ იგი გამოიცა ბატონი ნუგზარის ვაჟის ოთარ ნადარაიას ქველმოქმედებითძ.

აკადემიის პრეზიდიუმი მადლობას უხდის მეცნიერებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს თანამშრომლობისა და დახმარებისთვის...

**„ჩვენს შორისაა ხილვები დიდგორელთა და ცოტნეიდელთა აჩრდილებისა, შემოვბრუნდეთ ღვთისკენ, გულშივე ავანთოთ რწმენის ლამპარი, კარგად გავიაზროთ, რანი გავხდით და რა უნდა ვიყოთ მომავალში. მართლაც, თუ ჩვენ არ ავენთეთ და დავიწვით საქართველოსთვის, ვინ გაანათებს სიბნელეს?“** — წერს ნუგზარ ნადარაია, რომელსაც ღრმად სჯერა, რომ რწმენა ფუნდამენტია ეროვნული მყოფადობისა და ამას ალტერნატივა არა აქვს.

**ზურაბ აბრალავა,**
**„სრ“ საკ. კორ. ფოთი**

***რედაქციისგან:** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები კოლეგასა და მეგობარს, ამავე გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს ზურაბ აბრალავას ულოცავენ დაბადებიდან 60 წლისთავს და ჯანმრთელობასა და შემოქმედებითს წარმატებებს უსურვებენ მას.*

# დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

თუ გვსურს,
ქვეყნად
სიყვარული დავნერგოთ,
თუ გვსურს,
ზურგი შევაქციოთ
ჩარჩობას,
30-30 დავრეკოთ,
საწყალ ბავშვებს
დავუბრუნოთ
ბავშვობა.



ჯანსუღ ჩარკვიანი

ფონდი „იავნანა“

## მილოცვა

75 წელი შესრულებია ბატონ თენგიზ გელაშვილს. ვერც ვიფიქრებდით, ისე მხნედ და ენერგიულად გამოიყურება. დამსახურებული ინჟინერი, ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ორიგინალური, რაციონალური წინადადებებითა და მიგნებებით. პატივისცემას იმსახურებდა, სადაც არ უნდა ევლავნა – მოსკოვი იქნებოდა, თბილისი თუ ბორჯომი. საინჟინრო განათლებასთან ერთად მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

ბატონი თენგიზ (ავთანდილის ძე) გელაშვილი გახლავთ გელაშვილთა (გელათიძე) საგვარეულოს საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი. ვულოცავთ ბატონ თენგიზს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერ ცხოვრებას.

მეგობრები, ახლობლები

## ინფორმაცია

### ვანში გაზიფიცირების პროცესი დასრულდა

**„იტერა-საქართველოს“ შვილობილმა კომპანია „ვანიგაზმა“ ვანისა და რაიონული ცენტრის მიმდებარე რვა სოფლის გაზიფიცირება დაასრულა.**

სახელმწიფო პროგრამის „გაზი ყველა სოფელს“ ფარგლებში სადისტრიბუციო კომპანიები მოსახლეობის გაზიფიცირების სამუშაოებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში ინტენსიურად ახორციელებენ.

ინტერპრესნიუსი

## ჯანმრთელობა

### თუ სუსტი ყელი გაქვთ



**ექიმები გვირჩევენ, ამ შემთხვევაში პირი ფართოდ უნდა გავაღოთ, რათა მზემ ფართოდ დაგვასხივოს. ეს კი ძმედითი საშუალებაა ყელის ტკივილის სამკურნალოდ. ულტრაიისფერი სხივები ხოცავს ვირუსებსა და მიკრობებს, რითაც ორგანიზმს ეხმარება ანთებასთან ბრძოლაში.**

თუ პირს ფართოდ გავაღებთ, ისე რომ მზე მოხვდეს ნუშისებრ ჯირკვლებს, მაშინ ძირფესვიანად „იღუპება“ იქ დაბუდებული დაავადებანი. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს – ფართოდ დაღებული პირი სასარგებლოა არა მხოლოდ მზეზე. ცნობილია იოგიური ფიგურა „ლომის პოზა“ (ღია პირის გარდა დაძაბეთ კისრის კუნთები და ეცადეთ ენით მიწვდეთ ნიკაპსძ, დაფუძნებულია სისხლის მკვეთრ ამოძრავებაზე, დიდი რაოდენობის იმუნური უჯრედები რომ მოაქვს ჯირკვლებში. ახალზედებმა ეს ვარჯიში ფრთხილად უნდა გააკეთონ, რათა ყბა არ ამოიგდონ.

### წიგნი – საუკეთესო დამამშვიდებელი



**სტრესთან გამკლავების საუკეთესო საშუალებაა წიგნის კითხვა – მიაჩნიათ ბრიტანელ მეცნიერებს.**

გამოკვლევის მიმდინარეობისას ექიმები მოხალისეებს აძლევდნენ სტრესის გამომწვევ ტესტებსა და სავარჯიშოებს. ამის შემდეგ მათ სთავაზობდნენ რელაქსაციის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული მეთოდის გამოყენებას და განსაზღვრავდნენ მეთოდის ეფექტიანობას პულსისა და კუნთოვანი ტონუსის ნორმალიზაციაში.

გამოირკვა, რომ სტრესის დონეს ყველაზე კარგად ამცირებს წიგნის კითხვა – 68 პროცენტით. პულსის ნორმალიზაციისა და კუნთების მოდუნებისთვის საკმარისი იყო 6 წუთის განმავლობაში ჩუმად კითხვა. მუსიკის მოსმენა სტრესის დონეს ადაბლებდა 61 პროცენტით, ფინჯანი ჩაი ან ყავა – 54 პროცენტით, გასეირნება – 42 პროცენტით.

ამასთან გამოკვლევის ავტორებს მიაჩნიათ, რომ რათა ნერვები დამშვიდეს, გამოდგება ნებისმიერი წიგნი – იქნება ის კლასიკური ლიტერატურა, ფანტასტიკა თუ სამეცნიერო ცნობარები.

### თხევადი შოკოლადი სჯობია ფილას



**ფინელმა მკვლევარებმა მოაწყვეს ექსპერიმენტი იმის გასარკვევად, თუ რომელი შოკოლადი უფრო სასარგებლოა – თხევადი თუ მაგარი.**

როგორც ცდებმა აჩვენა, შოკოლადი თხევადი სახით გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე ფილა. ამ უკანასკნელში ძალზე დიდია შაქრისა და რძის შემცველობა. ისინი კი ხელს უწყობს ზედმეტი წონის დაგროვებას, ნევროზსა და სხვა პრობლემებს.

ამავე დროს ფილა შოკოლადში გაცილებით ცოტა ფლავონოიდებია – ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბუნებრივი ფენოლური შენაერთები.

### გარუჯვა თრომბოზს შველის

**ქალებს, გარუჯვა რომ უყვართ, 30 პროცენტით ნაკლებად ემუქრებათ თრომბების გაჩენის რისკი – ასეთი დასკვნა გამოიტანეს შვედმა მეცნიერებმა. მათ მიერ მოწყობილ გამოკვლევაში მონაწილეობდა 40 ათასი ქალი. ექსპერიმენტატორების მტკიცებით, მზის გულზე დიდხანს ყოფნა სახიფათოა, განსაკუთრებით მგრძნობიარე კანის პატრონებისთვის, თუმცა გარუჯვას აქვს დადებითი შედეგებიც.**

ზომიერი „გამზეურება“ აცილებს D ვიტამინის ნაკლებობას. ის კი მნიშვნელოვანია სისხლ-ძარღვთა თრომბების პროფილაქტიკისთვის, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ – მთავარია ზომიერების დაცვა.

უცხოური პრესის მიხედვით



## კადრი



ერთ-ერთი ბარის სტუმრებმა რეიკიავიკის ცენტრში ზუსტად იციან, თუ ვინ მიიყვანა ისლანდია ეკონომიკურ კოლაფსამდე. ყოფილი ბანკირების სახეები, რომლებიც გაიქცნენ ქვეყნიდან კრიზისის დასაწყისში, ამ შენობაში შეიძლება იხილო პისუარებში. და არა მხოლოდ იხილო...

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

სასამართლო განქორწინების საქმეს განიხილავს. ცოლ-ქმარი სამ შვილს იყოფს.

– მე ორი შვილი მინდა, – ამბობს ცოლი.

– არა, მე მინდა ორი, – ჯიუტობს ქმარი.

იკამათეს ერთი საათი, ორი საათი.

– მორჩით კამათს, დროზე გადაწყვიტეთ, – მოთმინებას კარგავს მოსამართლე.

– წავიდეთ, მომავალ წელს განვქორწინდეთ, როცა ოთხი შვილი გვეყოლება! – ეუბნება განერვიულებული ცოლი ქმარს.

* * *

ტრასაზე ორი ავტოინსპექტორი დგას. მანქანები არ ჩანს. მოწყენილობაა. უცებ ხედავენ, რომ ვირი საზიდარს მოაჩაქჩაქებს. ინსპექტორებმა გახუმრება გადაწყვიტეს და საზიდარზე მჯდომ მოხუცს წინ გადაუდგნენ:

– დოკუმენტები წარმოგვიდგინეთ, თუ შეიძლება...

– აგერ, „ბარდაჩოკში“ ნახეთ, – ვირს კუდი აუწია მოხუცმა.

* * *

კრიზისის განვითარების კვალობაზე ზოგიერთი ქვეყანა სუვერენულიდან სასუვენიროდ გადაიქცა.

* * *

ფეხზე მდგომის ცემა საშიშია, წაქცეულისა – სულმდაბლობა.



მაგრამ ყველაზე ხელიდან წასული საქმე მაინც უნიტაზზე მჯდომის ცემაა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.